



გაზეთი გაეოღის  
1930 წლის 5  
ნოემბრიდან

samtredlismacne @ mail.ru

# მაცნე

## სამტრედიის

N29(9280)

20 ნოემბერი. 2018 წელი

ფასი 50 თეთრი

**იმიტომ,  
რომ უფრო  
გაეოღა**

**2**



“საქართველოს მოსახლეობაში DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება

**3**

კოლაუსთან მიმდები კომპაგზირელი ბოგო და გამოვლდი სულ სხვანაირი

**6**

თუ ბინდა,  
ერი  
ბადაბგვარო,  
მას გლეხი  
უნდა მოუსპო



ბემა ფოსხვერინას ნიგნების წარღბინება მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში

**4**



**8**

„ყაშროსვი საშეწოდებელი მოციის ლემთას, მონასტერში“ ...

**რაცუას მიხერე ნითერ მოუქანზე!**

**10**

**სამოგავლოდ  
საერთაშორისო  
მასშტაბით**



**2**



აშშ-მ საქართველოს “აილენდის” კლასის ორი ხომალდი გადასცა

**5**

საპატრიარქოს ინიციატივა – ეთნობოტანიკური მონაცემების შესწავლა...

# საკრებულომ რიგგარეშე სხდომა გამართა

რომელსაც ტრადიციულად საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა. ქალაქ სამტრედიის რესპუბლიკის ქუჩის №84-ში მდებარე 1709.00 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული (128,8 კვადრატული მეტრი) შენობა-ნაგებობის (მიწის უძრავი ქონების) სსიპ საგანგებო სიტუაციების, კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრისათვის უზურფუქტის ფორმით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 04 ადმინისტრაციული ერთეულის, ადმინისტრაციული შენობებიდან სოციალური პროექტის განხორციელებისათვის სს „ლიბერთი ბანკისათვის“ ფართების უზურფუქტის ფორმით 2 წლით უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის შესაბამისი განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება...

აი ნაწილი საკითხებისა, რომლებიც 19 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომაზე იქნა განხილული. დღის წესრიგში არსებულ და სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

ლევან ბაგრაძე



# აშშ-მ საქართველოს „აილენდის“ კლასის ორი ხომალდი გადასცა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აშშ-ის მთავრობამ „აილენდის“ კლასის ორი ხომალდი „დიოსკურია“ და „ორაშირე“ გადასცა. ხომალდები საქართველოს სანაპირო დაცვის 20 წლის იუბილეზე გადაეცა. ხომალდების გადაცემის ცერემონია ფოთში გაიმართა. მას შს მინისტრი გიორგი გახარია და პრემიერი მამუკა ბახტაძე ესწრებოდნენ. საზეიმო ღონისძიებაზე შს მინისტრის პატაყი ჩააბარა სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა, პირველი რანგის კაპიტანმა თემურ კვანტალიანმა. ცერემონიაზე სიტყვით აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ელიზაბეთ რუდი გამოვიდა.

„სამტრედიის მაცნე“



# ნიიტო, რომ უფრო გააძლიერებს

## თბილისი

რეგიონალური განვითარების ფონდის 95, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის 5 პროცენტით დაფინანსებით მიმდინარე სამუშაოები, 7 სოფელში ბეტონის გზის დაგებას რომ ითვალისწინებს, გრძელდება. ამჯერად საჯავახოს თემის სოფელ ნიგორზღვაში მიმდინარე სამუშაოები მონაშლეს მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიან ფოცხვერიამ და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ზურაბ გოგიაძემ. გზის ბეტონის საფარზე არჩევანი მუნიციპალიტეტში პირველად კეთდება. მაღალმთიანი ზონის სოფლებში იგი იმითომ შეარჩიეს, რომ ასფალტზე გაცილებით გამძლეა. გომში, ოფეთსა და ჭოგნარში უკვე დასრულდა ბეტონით მოპირკეთების სამუშაოები. ტენდერში გამარჯვებული შპს „მიმდემი“ ამჯერად საჯავახოში ასრულებს სამუშაოებს. მოსამზადებელ პროცესშია და მალე დაიწყება გზის დაგება ღანში.

ნიგორზღვაში მერის წარმომადგენელმა შველევ თარგამაძემ განაცხადა, რომ: „სოფელს ცენტრალურ მაგისტრალთან გზის 4 კილომეტრიანი მონაკვეთი აკავშირებს. გზა გაუკვლი იყო, აუცილებელი გახლდათ მისი მოწესრიგება. მართალია, წელს მთლიანად ვერ დაიგება, მაგრამ დღესაც გაიშორა ბატონმა მერმა, რომ სამომავლოდ იგი მთლიანად დაიგება.“ ადგილობრივ საკრებულოში თემის მაჟორიტარი ბაი

იმესაშვილი თვლის, რომ: „საშვილიშვილო საქმე კეთდება. მომავალი წლისთვის არათუ მარტო ნიგორზღვას, მთელ გაღმა ზონას მოიცავს გაუკვლი გზების მოწესრიგება და სოფელი ამოიხუნთქავს. ამ ეტაპზე მიმდინარე სამუშაოებით ვკმაყოფილდებით, რადგან ეს უკვე კარგი დასაწყისია!“

როგორც ზურაბ გოგიაძემ ამბობს: „ამჯერად 500 მეტრზე დაიგება გზა, რომლის განივ აღმირების გარეშე 3 მეტრი იქნება, ხოლო სისქე 16 სანტიმეტრი. გაუკეთდება გვერდულეები. გზის დაგებისას გათვალისწინებულია ტრანსპორტის გამტარიანობა. ნიგორზღვაში ისეთი ინტენსივობით არ არის მოძრაობა, როგორც სხვა სოფლებში, ამიტომ 3 მეტრი სიგანის გზა სრულიად საკმარისია.“


საჯავახოს თემში ამ მონაკვეთის ბეტონის საფარით მოსაპირკეთებლად 435 ათასი ლარი დაიხარჯება. ბუნებრივია, შესრულების ხარისხი გადაწყვეტი იქნება სამუშაოების ჩაბარების დროს. ამიტომაც შპს „მიმდემის“ სამუშაოთა მწარმოებელი ზაზა დევიძე მოსახლეობის მხრიდან საქმის მიდგომით უკმაყოფილოა: „აუცილებელია, გარკვეული პერიოდი, დაახლოებით, ორი კვირა, არც ტრანსპორტმა და არც პირუტყვმა ახლად დასხმულ გზაზე არ გაიაროს. ბეტონს უნდა დაეზოვოს და იგი დროთა განმავლობაში ადვილად გაფუჭდება. მოსახლეობა ამას არ ითვალისწინებს, შემდეგ კი ჯონის სამუშაოების შემსრულებელ კო-

მპანიაზე გადატყდება.“

მოსამზადებელი სამუშაოების შესრულებისას დანიშნულ ექვია მუნიციპალიტეტის მერი, სადაც 2 კილომეტრსა და 600 მეტრზე დაიგება სოფელში მისასვლელი გზა. აქაც ბეტონის საფარით მოპირკეთდება იგი. დანიშნულ დაგებულ ბეტონის გზას განივ 4 მეტრი ექნება. სხვა სოფლებთან შედარებით გაცილებით მეტია აქ დაგებული მონაკვეთის სიგრძე. როგორც მუნიციპალიტეტის მერი ვალერიან ფოცხვერია აცხადებს: „მაღალმთიან გაღმა ზონაში დავიწყეთ გზის საფარის ბეტონით მოპირკეთება. იგი ასფალტზე გამძლეა. იყო საშუალება და მუნიციპალიტეტის ბარის სოფელში, დანიშნულ ვაკეებში მას. თუკი მოთხოვნა იქნება, არც სხვა სოფლების მოსახლეობას დავეწყვეთ გულს. ეს რაც მოეწონება მიმდინარე წელს, თორემ, ახალი წლიდან სამუშაოები კვლავ გავგრძელებთ.“

დანიშნულ მაჟორიტარი საკრებულოში ბადრი შენგელია მოსახლეობის კმაყოფილებაზე აკეთებდა იმ დღეს აქცენტს და ხაზს უსვამდა, რომ ეროსი მანჯგალაძის სოფელს ეკუთვნის კომფორტულად მისასვლელი გზა ჰქონდეს. დანიშნულ შესასრულებელი სამუშაოებისთვის 413 ათასი ლარი დაიხარჯება.

მალე მისასვლელი გზის ბეტონით მოპირკეთება ტოლებსა და გორამაღალში დაიწყება. 30 ნოემბერს სამუშაოები უკვე ყველა სოფელში დასრულებული უნდა იყოს.



# 28 ოქტომბერს, 28 წლის წინ

საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდა, რაც უდიდესი პოლიტიკური მოვლენა იყო მთელ კავშირში.

“მეორედასამტრედელეობო, ჩვენ, სამტრედელის შეილები, უდრემს მაღლობას მოვასხენებო ყოველ სამტრედელეს, რომლებმაც პირველი მრავალპარტიული არჩევნების დღეს მაღალი პოლიტიკური კულტურა გამოამჟღავნეს და ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩვენს ბლოკს “მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველოს”, რითაც შეუწყვეს ხელი დემოკრატიულ და პროგრესულ ძალთა გამარჯვებას.

... კვლავ მრავალჯერ გვეხარებინოს ერთმანეთი თანადგომით, ერთგულებით, ურთიერთისფარულით.

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს! უდრემსი პატივისცემით: საქართველოს ახალი პარლამენტის დეპუტატები:

**თინათინა ჯორიძე**  
**სიმონ კალაძე**  
**ზინა მამუკაძე**

ეს მცირე სამადლობელი წერილი, რომელიც უკვე უახლესი ისტორიის ნაწილი გამოქვეყნდა გაზეთ “სამტრედელის მაცნეს” 1990 წლის 3 ნოემბრის ნომერში. აქვე სამტრედელის საოლქო საარჩევნო კომისიის სრული ანგარიში სამტრედელის საარჩევნო ოლქში არჩევნების მიმდინარეობას და მის შედეგებს რომ ასახავს, რომელსაც ხელს აწერენ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზ. ბ. რუხაძე და საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ზ. ნ. გრიგოლია.

მართლაც, უმნიშვნელოვანესი იყო 28 წლის წინანდელი 28 ოქტომბერი საქართველოსათვის, მისი დემოკრატიული განვითარებისათვის. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ არჩევნებში ბლოკმა “მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო” გაიმარჯვა.

**ლევან ბაბუჩავა**



## “საქართველოს მოსახლეობაში DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლება

პროექტის მიზანია გაავრცელოს ინფორმაცია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ საქართველოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში. ძირითადი მიზნობრივი ჯგუფები იქნებიან კოლექტორების სტრუქტურები, საშუალო სოფლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, კომპაქტურად ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირები, ქალები და უნარშემოღებული პირები პროექტს სამტრედელის მუნიციპალიტეტში ახორციელებს ააიპ “სამანი”. პროექტი დაიწყო 1-ლ სექტემბერს და გაგრძელდება 2018 წლის 31 დეკემბრამდე. იგი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. პროექტი ხორციელდება “საქართველო ევროპულ გზაზე: DCFTA-ისა და მცირე და საშუალო საწარმოების სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის ეფექტური მოდელის შექმნა” ქვეგრანტის ფარგლებში არასამთავრობო და კვლევითი ორგანიზაციების საერთაშორისო კონსორციუმის მიერ. პროექტს ხელმძღვანელობს “ადმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრი” (EESC, ლიტვა). მონაწილე ორგანიზაციები არიან: “საქართველოს ბიზნეს-საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია” (ABCO, საქართველო), “საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი” (GIP, საქართველო), “გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტი” (GPI, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტი” (საქართველო), “ათინათი” (საქართველო) და ასოციაცია “კავკასიის გენეტეკა” (საქართველო). დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროექტის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.georgiadcfat.ge](http://www.georgiadcfat.ge)

ის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ. პროექტს ხელმძღვანელობს “ადმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრი” (EESC, ლიტვა). მონაწილე ორგანიზაციები არიან: “საქართველოს ბიზნეს-საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია” (ABCO, საქართველო), “საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი” (GIP, საქართველო), “გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტი” (GPI, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტი” (საქართველო), “ათინათი” (საქართველო) და ასოციაცია “კავკასიის გენეტეკა” (საქართველო). დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროექტის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.georgiadcfat.ge](http://www.georgiadcfat.ge)

ის საერთაშორისო კონსორციუმის მიერ. პროექტს ხელმძღვანელობს “ადმოსავლეთ ევროპის კვლევითი ცენტრი” (EESC, ლიტვა). მონაწილე ორგანიზაციები არიან: “საქართველოს ბიზნეს-საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია” (ABCO, საქართველო), “საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი” (GIP, საქართველო), “გლობსეკის პოლიტიკის ინსტიტუტი” (GPI, სლოვაკეთი), ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტი” (საქართველო), “ათინათი” (საქართველო) და ასოციაცია “კავკასიის გენეტეკა” (საქართველო). დამატებითი ინფორმაცია იხილეთ პროექტის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.georgiadcfat.ge](http://www.georgiadcfat.ge)



## უფასო პოლიტიკური რამლასა თეიქები აჩვენებზე

### ლუსტრაცია

კარგი სიტყვაა – ვველაფერს ნათელს ჰფენს – ააშარავებს, ვინ ვინ არის.

“რა გინდათ? ფიზიკურად ხომ არ ეხებიან კანდიდატს?” – თქვა ერთ-ერთმა ოპონენტმა “ოცნების” მხარდამჭერი ორგანიზაციის მისამართით. ე. ი. რომ არ სცემენ, უკვე ღირსეულ საარჩევნო კამპანიას ატარებენ.

### მედასავლეთი

თუ მათ არ უჭერ მხარს, ბნელი ხარ და ჩასაქოლი. ღია მოწოდება პარტიული ტელევიზიის შეფა გაახმოვანა. ნაცნობი ხელწერაა. და ჩვენი რამდენიმე აქტიური არასამთავრობო ამას სიტყვის თავისუფლებით ამართლებს, მაგრამ საზოგადოების ნაწილის მოკვეთას ბოლშევიზმი რომ უწოდეს, ამან უკიდურესად აღაშფოთათ.

### 306 306 ჯრის

როცა ერთადერთ საშუალებად აჩვენო კარგი ხარ, სხვისთვის ლაფის შესხმა დაგრჩენია, ვინ ხარ შენ? რასაკვირველია, 400 ლარიან დაპირებულ პენსიას თუ არ ჩავთვლით, რაც ნამდვილად კარგია, მაგრამ ტყუილი რომაა.

რას ერჩიან ქალბატონ კანდიდატს – ნეოლადის და კედის შთამომავალს მოღალატე უწოდო. სხვათა შორის, ეს ის კედიაა, თავის დროზე ლაგერენტი ბერია რომ გამოტყვნა.

კიდევ რას? – რუსული ჯარების გაყვანაში რომ მიიღო მონაწილეობა. შენ კი რუსული პასპორტი ომის შემდეგაც ძლივს დაგათმობინეს, ისიც მას შემდეგ, რაც ფირინოვსკიმ ღუმელში ჩვეულ სტილში მოითხოვა ეს. პასპორტი დათმე, მაგრამ რუსეთი სამუდამოდ დაგრჩა გულში. – შენი სიტყვებია.

თუ მეორევე, ომში ჩაბმას დანა-ჩანგლით რომ მოგიცილებდი.

### ტყუილი და პართალი

რა თქვა ქალბატონმა სალომემ. სიტყვა-სიტყვით იგივე, რაზეც ქართულმა დეპუტაციამ ომის შემდგომ მოაწერა ხელი ევროპარლამენტის რეზოლუციას და შენ მას ეძახი მოღალატე.

მას არ უთქვამს – ომი საქართველომ დაიწყო. თქვა, დაიბომა ცხინვალის.

სიმართლე უმადლესი კატეგორიაა და სამომავლო ურთიერთობებშიც დიდი მნიშვნელობა ექნება.

სხვათა შორის, სიმართლე მთელმა მსოფლიომ იცის.

### ბინძური ომი

ვინ იცის, რა გზებით მოპოვებული ვიდეო და აუდიო ჩანაწერებით, ადამიანს რომ თვითმკვლელობისკენ უბიძგებს, პროკურატურის მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ვიდეო მტკიცებულებას ფალსიფიკაციად აფასებ.

შენ მიხნებს თუ ეწინააღმდეგება, არად მიგაჩნია, სამხარაულის ბიუროს, ბრიტანულ ექსპერტთა დასკვნა, არ ენდობი პროკურატურას, ითხოვ შსს-ს გაუქმებას. ეს ორმაგი სტანდარტია, თუ უფრო მძიმე შემთხვევა.

### ბაღიანი პირადი

ამაზრუნე კადრებზე, რომელსაც ვერ ვუყურე, ორი გვამის მოთხოვნაზე და კიდევ სხვაზე და სხვაზე, არას ვიტყვი.

ადამიანს რომ ზღვასთან მიიყვან თვალებს აუხვევ, ფეხზე არმატურას შეაბამ და ნავით მოსაკლავად ზღვაში გაიყვან. მის მდგომარეობას რომ წარმოვიდგენ, იმ ნახევარი თუ ერთი საათის განმავლობაში გასროლას რომ ელოდება. შემსრულებლები, გასაგება, ჯალათები იყვნენ.

მაგრამ დამკვეთები, ვინც დასჯის ეს ფორმა მოიფიქრა, დღევანდელი მორალისტები?

არ იცოდნენ?

ასეთი არჩევანი გვაქვს?

და ჩვენ ეს დაუშვით.

**გიორგი ბინაშვილი**

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში გაზეთი “სამტრედელის მაცნე” იხელმძღვანელებს საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 50-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და “საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეროვნული კომისიის 2012 წლის 15 აგვისტოს №9 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, საარჩევნო სუბიექტები გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგენტებისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 4 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი, რომლის ღირებულება 200 ლარს შეადგენს.

# ბექა ფოსხვიას ნიბნების წარდგინება მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში



## ნათია ნაცვლიძე

**ბექა ფოსხვიას ლიტერატურული მონაგარი ორი პოეტური კრებულია, ახალგაზრდა პოეტს უკვე რამდენიმე მუნიციპალიტეტში მოუწევს შეხვედრა. მისი მშობლიური სამტრედიის მერვე მუნიციპალიტეტია. შეხვედრაზე პოეტის ორი წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. სად, თუ არა მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში უნდა გამართულიყო ბექას შემოქმედებითი საღამო, ანუ იმ კულტურულ სივრცეში, რომელსაც სკოლის მერხიდანვე დაუკავშირდა, შეეზარდა და ახლა, უკვე, საკუთარ შემოქმედებით საღამოზე, მადლიერებით აღსავსე სიტყვებს უბრუნებს უკანვე ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს.**

ლონისძიება ბიბლიოთეკის დირექტორმა ლამარა ღუნდუამ გახსნა. ის შეკრებილთ მიესალმა, ნიჭიერ პოეტს შემოქმედებითი წარმატება მიულოცა, გზაც დაულოცა და სიტყვა საბიბლიოთეკო ღონისძიებათა მთავარ წამყვანს, “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელ მდივანს, ლევან გაბეჩავას გადასცა. ლევან გაბეჩავა ბექას ორივე პოეტური კრებულის რედაქტორია. ეს პირველი შემოქმედებითი საღამო იყო მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში, რომელიც დირექტორის მოადგილე შზია ჩხლაძის გარეშე გაიმართა, ამიტომ ღონისძიება მისი ხსოვნისადმი პატივის მიგებით დაიწყო. ლევან გაბეჩავამ ვრცლად ისაუბრა ბექას შემოქმედებაზე, რომელიც გაჯერებულია მშობლიურ, მშობლიური ქალაქის, სოფლის, წინაპრების სიყვარულით. განსაკუთრებული სიბოთით ეფერება ახალგაზრდა პოეტი ბაბუის შრომისაგან დახეტილ ხელებს... მომხსენებელმა ასევე ისაუბრა ნიჭიერი ახალგაზრდის თავმდაბლობასა და უშუალობაზე. ბექა აწეს-იურიდიული ფაქულტეტის მაგისტრატურაში აგრძელებს სწავლას, პარალელურად, დაიწყო მუშაობა ნოტარიუსში, ნოტარიუსის თანამშემწედ, არის 5 ლიტერატურული კონკურსის ნომინანტი. ლევან გაბეჩავამ გაიხსენა, როგორ შემოაღო პირველად “სამტრედიის მაცნეს” რედაქციის კარი ბექამ პედაგოგ ლია პატარიძისთან ერთად და როგორ მიიღო სარედაქციო კოლეგამ გადაწყვეტილება, დაეხმობოდა თვალბანებული ბიჭის ლექსები, რომელიც მელაურის საჯარო სკოლის (დირექტორი ნინო ნიკოლეიშვილი) მოსწავლე იყო. ბექას ლექსები წაიკითხეს სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ბავშვებმა, რომლებიც საბიბლიოთეკო ღონისძიებებს მუდამ აღამაზებენ. საღამო მუსიკალურად ეწრის საჯარო სკოლის მოსწავლე სოსო ვეზდენმა გააფორმა. განსაკუთრებული სიბოთით მიესალმნენ ბექას მისი ყოფილი პედაგოგები, მათემატიკის მასწავლებელი ხათუნა ნიკურაძე და ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნატალია ფახურაძე. მათ თვალზე საიამაყის ცრემლი უბრწყინავდათ. ორივე მათგანმა გაიხსენა, როგორი ნიჭიერი მოსწავლე იყო ბექა და დარბაზში მყოფ მოსწავლეებს ასევე უსურვეს, მათი შემოქმედებითი საღამოებიც მოეწყოთ მადლიერ მკითხველებს მომავალში.

ბექას მის მიერვე დაწერილი ლექსით მიესალმა სამტრედიის კოლორიტი ქალბატონი ნათელა გელეიშვილი. მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი იმ დიდი სიყვარულის უნარს, რითაც განგებას ბექა დაუჯილდოვებია და რაც უღამაზეს სტრუქტურებს აქმნენ ახალგაზრდა შემოქმედს. თბილად მიესალმა ბექას და მის თავმდაბლობას გაუსვა ხაზი “სამტრედიის მაცნეს” რედაქტორმა ქეთევან ჭვლიძემ, მან ანატოლ ფრანსის სიტყვები გაიხსენა, რომ “ლექსების თხზვა ღვთისმსახურებასთან ძალზე ახლოა”. აღნიშნა, რომ პოეზია ეს არის სულის რევერანსი, ამავდროულად კი, დანის მჭრელი პირი და არ შეიძლება, ლექსში ასახვა არ ჰპოვოს იმან, რაც ჩვენს გარშემო ხდება. მან წარმატებები უსურვა პოეტს და სახალხოვე მუნიციპალიტეტში გამოძვალ ერთადერთ ბეჭდურ გამოცემასთან, “სამტრედიის მაცნესთან”. საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ განაცხადა, უნდა ვაღიარო, ბექას არ ვიცნობდი და ძალიან მიხარია, რომ ჩვენს პოეზიის მდიდარ საგანძურს შესანიშნავი პოეტი შეემატებო. მან წარმატებები უსურვა ნიჭიერ ახალგაზრდას და მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს, ღონისძიების ყველა ინიციატორსა და შემოქმედს. ბექას მიესალმა ბიბლიოთეკის ანალიტიკური გამოფილების ხელმძღვანელი იზაბელა ლევაშვილი, მისი შემოქმედება შეაფასა, წაიკითხა ბექას ლექსები და ორივე პოეტური კრებულის წინასიტყვაობა, რომელთა ავტორიც ლევან გაბეჩავაა. სიყვარულით გაიხსენა ბიბლიოთეკის დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა რუსუდან კახიანიძემ, თუ როგორ შესთავაზა 4 წლის წინ დარბაზში მყოფ ბიჭუნას დედის დღისადმი მიძღვნილ ერთ-

ერთ ღონისძიებაში მონაწილეობა. ბიჭი საიამაყებით დასთანხმდა და დღე-ღამე დაწერილი მისივე ლექსით ჩართო ღონისძიებაში. ბიბლიოთეკის არქივიდან საგანგებოდ მოიძიეს ის ლექსი და კიდევ ერთხელ მოასმენინეს შეკრებილთ. ამ უბიძგესმა ლექსმა, ისევე, როგორც ბექას მისამართით თქმულმა სიტყვებმა, საიამაყით აღავსეს დარბაზში მყოფი ბექას მშობლები. ბექას დედამ ვერც კანდიდატმა გვიხარა: “ყველა დედას ვუსურვებ, ასეთი ბედნიერები იყვნენ, როგორც მე ვარო”. პოეტმა თემურ ჯულაყიძემ განსაკუთრებულად პოეტს მხატვრული სახეები და მეტაფორები შეუქო და წარმატებები უსურვა. – იურისტი ბევრი გვყავს, მაგრამ პოეტები არა, ამდენად, ძალიან სასიამოვნოა, ასეთი კარგი პოეტი გვეყოლია, – მიესალმა ბექას მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, რომელიც თვადაც დიდად სწყალობს პოეზიას. “გარეგნულადაც სიყვარულით გამოემტყველებება ხარ, შენი ლექსებიდანაც ასეთივე ენერგეტიკა მოდისო”, განაცხადა ვალერიანე ფოცხვერია. ასევე უსურვა წარმატებები ნიჭიერ პოეტს მერის მოადგილე დავით ბახტაძემ და მადლობა გადაუხადა საბიბლიოთეკო გაერთიანებას არაერთი საინტერესო ღონისძიების გამართვის გამო. განათლების, კულტურის, ტურიზმის, ძველთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ ბექა საოცარი სიბოთით და სიყვარულით დაახასიათა, ნიჭიერება შეუქო და წარმატებები უსურვა. – პოეზია უპირველეს ყოვლისა – გალაკტიონის სლოგანით მიესალმა ახალგაზრდა პოეტს საკრებულოს წევრი, ბადრი შენგელიამ, მადლობა გადაუხადა საინტერესო ღონისძიებებისათვის ბიბლიოთეკას და აღნიშნა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდებს ყოველთვის ხელს უწყობს ადგილობრივი ხელისუფლება. განსაკუთრებულად შეუქო უფროსი თაობისადმი გამოვლენილი სიყვარული და პატივისცემა პოეტს საკრებულოს წევრმა, ტარიელ დვალისძემ. ასეთი თბილი შეხვედრის შემდეგ ბექამ დარბაზში მსხდომთ საითათოდ გადაუხადა მადლობა, ყველაზე მეტი სიბოთით კი, მისი პოეტური კრებულების მთავარ ბიძგის მიმცემს, ლევან გაბეჩავას მიესალმა. “წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ეს ქალაქი ბატონი ლევანის გარეშეო.” – აღნიშნა მან, შემდეგ კი მისი პოეზიის თავგანისმცემლებს ახალი ლექსები წაუკითხა. ბექას ლექსები წაიკითხა მეგობარმა, წინათ საბიბლიოთეკო ღონისძიებათა მუდმივმა წევრმა, ახლა კი სტუდენტმა, მარიამ ჩხაიძემ. ღონისძიების მთავარმა მასპინძელმა, ლამარა ღუნდუამ ბიბლიოთეკის სახელით ბექას სამახსოვრო საჩუქარი გადასცა.

# საპატრიარქოს ინიციატივა – ეთნობოტანიკური მონაცემების შესწავლა...

ლიზან გაბაჩიაძე

და ამჯერად ხორბლის ეროვნული (ენდემური) ჯიშების პოპულარიზაციაა.

როგორც ყოველთვის, ახლაც გამოუჩნდა საქართველოში მხარდაჭერები სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და შესაბამისად, საპატრიარქოს კიდევ ერთ ეროვნულ ინიციატივას – იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი ხორბლის ჯიშების მოყვანას რომ უკავშირდება.

მრავალმხრივი მუშაობა წარმოებს ამ კუთხით საპატრიარქოსა და შესაბამის უწყებებს შორის.

საინტერესო, საქმიანი შეხვედრა გაიმართა 15 ოქტომბერს სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მუზეუმის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა გულგო ცინცაძემ, შეკრებილთ ილიას უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქალბატონი ინეზა მისაია წარუდგინა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა საპატრიარქოსა და პატრიარქის ეროვნული, პატრიოტული ინიციატივის მნიშვნელობაზე, შეკრებილთ კი ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა ძველად საქართველოს ცალკეულ რეგიონებში სხვადასხვა ჯიშის ხორბლისა და მისი მრავალმხრივი გამოყენების შესახებ.

“ხორბლის ფქვილისაგან, გარდა პურის მრავალსახეობისა, ამზადებდნენ სარიტუალო, სააღდგომო, სამოზაო, საღვთისმშობლისა და სხვადასხვა სახის პურს და ა.შ. ჩვენი შეხვედრის მიზანია, ცალკეულ რეგიონებში ინფორმაცია მოვიძიოთ, თუ რა იციან ხორბლის მოყვანის უკვე მივიწყებული წესების შესახებ და მეტი ინფორმირებულები გავხადოთ საზოგადოებას, ჩვენი ქვეყნის და ხალხისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი კულტურების მიმართ. ანალოგიურ თემზე რამდენიმე საათის შემდეგ აბაშაში შეხვედრა, ასე რომ, მთელი ქვეყანა გვინდა მოვიცვათ. ამ საქმეში უდიდესია ქვეყნის მასშტაბით ცნობილი მეცნიერის, ბატონ ლევან ფრუიძის წვლილი”. – აღნიშნა ქალბატონმა ინეზა მისაიამ.

საკუთარი მოსახრებები დააფიქსირეს შეხვედრაზე და საპატრიარქოს ამ ინიციატივის დროულობაზე, პოზიტიური მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება ფერმერებმა, ბატონებმა მიხეილ სულაქველიძემ და ბესარიონ ქუთათელაძემ, პედაგოგმა, ქალბატონმა ნინო აკოფოვამ და სხვებმა.

“იუნესკომ აღიარა, რომ მეღვინეობის უძველესი ქვეყანა ვართ, დიდა ამაში საპატრიარქოსა და პატრიარქის წვლილი. თუ ახლა იმასაც შევძლებთ, რომ აღიარონ საქართველო ხორბლის უძველეს მწარმოებელ ქვეყანად, საოცრად კარგი იქნება, წმინდა ზარების საიდუმლო ხომ პურითა და ღვინით სრულდება, წარმატებებს გისურვებთ”. – ასეთი კომენტარი გააკეთა შეხვედრაზე დეკანოზმა რომანოზმა (ნინუამ).

საპატრიარქოს ეროვნული ინიციატივების საყოველთაო მხარდაჭერისა და პროცესში საზოგადოების ყველა ფენის აქტიური ჩართულობის აუცილებლობაზე გაგრძელდა საუბარი ფინჯან ფავასთან, შეხვედრის ოფიციალური ნაწილის შემდეგ.



# კუდიან კაუშიჩი

ლიზან გაბაჩიაძე

ასე ჰქვია საზოგადოებას, რომელიც ისრაელში ქართველმა ებრაელებმა დააარსეს და რომლის პროექტის ფარგლებშიც ამ დღეებში საქართველოს სტუმრობდა ქართველი ებრაელთა დელეგაცია. ებრაელი სტუმრები მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო.

“ჩვენი მეგობრობა უნაკლოურია, მე ვეგარაუდობ, რომ ებრაელები 26 საუკუნის წინ კი არა, უფრო ადრე ჩამოვიდნენ საქართველოში. ვფიქრობ, რომ გადმოსახლებაზე მათ უკვე უწყობდნენ ჩვენი ქვეყნის შესახებ და კარგად იცოდნენ, სად მოდიოდნენ.

ჩემი წინამორბედი ვამიგონია, ებრაელის დალოცვა ღმერთის დალოცვაა. მინდა ვთხოვოთ, დალოცეთ ჩვენი სამშობლო, საქართველო”. – ბრძანა პატრიარქმა სტუმრებთან შეხვედრაზე.



ით გვენატრებოდა ჩვენი კლასიდან წასული მეგობარი მზია. მერე თანდათან ვიზრდებოდით, თანდათან მიდიოდნენ ჩვენი თანაკლასელებიც. განშორების სევედა თან ახლდა ლამარა ელიშაყაშვილის, შალვა, შალომ, მენაშე თეთრუაშვილების, შოთა, მარინე, აბული (აბრამ) ელაშვილების, მირიან მოძღვრის, სიმე, სიმონ შალვაშვილების ისრაელში წასვლას.

სკოლის დირექტორი, ბატონი აკაკი ჯამბურია ხშირად შეგვკრებდა და თბილისი სივრცეებით შემოგვხატებდა პედაგოგთა სახელით შორეულ ისრაელში მიმავალთ. არ დაივიწყეთ ჩვენი სკოლა, თქვენი მასწავლებლები, მეგობრებიო, ატანდა საგზაოდ კეთილ სურვილებთან ერთად. მაშინ ვერაფერს წარმოიდგენდა, თუ ისრაელიდან საქართველოში და პირიქით უპრობლემოდ შევძლებდით მიმოსვლას.

მრავალმხრივია ორ ქვეყანას შორის მეგობრობა და ურთიერთობები. ქართველ ებრაელთა სტუმრობაც ამისი მკაფიო მაგალითია პროექტ “გულთა კავშირის” ფარგლებში.

ჩვენი თანამემამულე პოეტის ამირან კალაძის ლექსის სტრიქონებში “ქართველი ებრაელის სიმღერა” სრულადაა ასახული ქართულ-ებრაული ურთიერთობები.

“მე ივერთა ჭირ-ვარამი ჩემად მიჩანს,

ჩვენი ძმობა ფიცვერცხლშია მოჭიქული...  
სიონის და სინაგოგის მრევლთა შორის

მშვიდობა და შალომი მოციქული! ორი ენა მომცა მამაშეციერმა, ორთავ ღვთიურ საიდუმლოდ შერაცხული...  
სასიმღეროდ უტკბილესი ქართული მაქვს,

სალოცავად სათაყვანო ებრაული!”  
კულაშიდან ისრაელში ებრაელთა ერთ-ერთი პირველი წასვლა ამ ფოტოზე აღბეჭდილი.

მჭიდროა გულთა კავშირი, 26 საუკუნოვანი მეგობრობით რომაა შედულაბებული.

დღეს საქართველო და ისრაელი მეგობარი, პარტნიორი სახელმწიფოებია.

მრავალმხრივია ორ ქვეყანას შორის მეგობრობა და ურთიერთობები. ქართველ ებრაელთა სტუმრობაც ამისი მკაფიო მაგალითია პროექტ “გულთა კავშირის” ფარგლებში.

ჩვენი თანამემამულე პოეტის ამირან კალაძის ლექსის სტრიქონებში “ქართველი ებრაელის სიმღერა” სრულადაა ასახული ქართულ-ებრაული ურთიერთობები.

“მე ივერთა ჭირ-ვარამი ჩემად მიჩანს,

ჩვენი ძმობა ფიცვერცხლშია მოჭიქული...  
სიონის და სინაგოგის მრევლთა შორის

მშვიდობა და შალომი მოციქული! ორი ენა მომცა მამაშეციერმა, ორთავ ღვთიურ საიდუმლოდ შერაცხული...  
სასიმღეროდ უტკბილესი ქართული მაქვს,

სალოცავად სათაყვანო ებრაული!”  
კულაშიდან ისრაელში ებრაელთა ერთ-ერთი პირველი წასვლა ამ ფოტოზე აღბეჭდილი.

მჭიდროა გულთა კავშირი, 26 საუკუნოვანი მეგობრობით რომაა შედულაბებული.

დღეს საქართველო და ისრაელი მეგობარი, პარტნიორი სახელმწიფოებია.

# საზეიმო სადილი “წითელი ჯვრის” ბენეფიციარებს

ნინო ნანოტაშვილი



საქართველოს “წითელი ჯვრის” საზოგადოების სამტრედიის ფილიალის ინიციატივითა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით მორიგი სოციალური ღონისძიება განხორციელდა.

17 ოქტომბერს რესტორან “ქალაქის გულში” საზეიმო სადილი გაუმართეს ფილიალის საქმიანობათა ცენტრის ბენეფიციარებს.

ოქტომბრის პირველი კვირა მთლიანად დაეთმო ხანდაზმულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. საზეიმო სადილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერიას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, საქართველოს “წითელი ჯვრის” სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი ნათია პაპავა და ფილიალის ყველა თანამშრომელი დაესწრო.

სადილი, სპეციალურად მოწვეული მომღერლის მიერ შესრულებული სიმღერების ფონზე მიმდინარეობდა. ბენეფიციარები უკლებლივ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ. იმ დღით გაბედნიერებულმა ბევრი ლექსი ზეპირად წაიკითხეს და ხელისუფლების წარმომადგენლებთან რამდენჯერმე იცქიკეს.

სამტრედიის “წითელი ჯვრის” ფილიალმა აქციის ორგანიზებაში გაწეული მხარდაჭერისათვის 17 ოქტომბრის საზეიმო სადილზე მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის მერიას, მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, ბიზნესმენ ბონდო ანჯაფარიძეს. იმ დღეს სუფრის გამრავალფეროვნებაში შეტანილი წვლილისათვის, ასევე რესტორან “ქალაქის გულში” პერსონალს გულთბილი მიღებისა და ხარისხიანი მომსახურებისათვის.

სადილის ბოლოს საქართველოს წითელი ჯვრის ლოგოიანი სადღესასწაულო ტორტი გაიჭრა.



# კოლაუსთან მივდი კომპაზიტირელი გობო და გამოვედი სულ სხვანაირი

ქათამიანი ჭიჭიკი

ერთხელ წავიკითხე და მერე რამდენჯერმე ისევ გადავაკლავ თვალი. ალბათ, ესეც კარგი წიგნის მისტიკურობის შედეგია. განსაკუთრებით ნინო ჩიკვიშვილის ისეთი ტკივილიანი რომანი-მისტიკაციის, როგორცაა: “მე პაოლო ვარ”. მან უკვე მოიპოვა აღიარება და უპირველესი ცისფერყანწელის სულის ლაბირინთებში მკითხველს გზა გაუკვალა. რამდენიმე საათი, გნებავთ, დღე, მისი ცხოვრებით აცხოვრება. ახალი საუკუნის დასაწყისში ლექსით და საქმით მასავით აბობოქრა და პოეტის თვითმკვლელობის გარდღევალობა არწმუნა.

ქალბატონი ნინო ის ბედნიერი გამონაკლისია, ვინც პირადად იცნობდა პოეტ კოლაუს ნადირაძეს და ვისაც ბიოგრაფიული რომანი “უკანასკნელი ცისფერყანწელი” მიუძღვნა. “მე პაოლო ვარ” კი, როგორც ამას წიგნში ვკითხულობთ: “პაოლო იაშვილის ცხოვრებისა და ტრაგიკული აღსასრულის ასახვის პირველი ცდაა, სადაც დოკუმენტური ჩანაწერები და მხატვრული გამონაგონი ერთმანეთს ორიგინალურად ავსებს”.

ნინო ჩიკვიშვილი პროფესიით ფილოლოგია. ასოცირებული პროფესორი, მკვლევარი და ფონდ “ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის” გენერალური დირექტორი. წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ და ჟურნალისტურ საქმიანობას. არის რამდენიმე წიგნის ავტორი: “თამაში თამაშის გარეშე”, “ამბავი დიდი სიყვარულისა”, “სარკის რეალობა”, “საუბრები თემურ ჩხეიძესთან” და სხვა. რუბრიკაში “ჩვენები” ქალბატონი ნინოს მოწვევა საქმრედიასთან და კონტრულად, სოფელ დანირთან მისმა კავშირმა განაპირობა. იგი ყოველ წელს სტუმრობს დედუღეთს მეუღლესთან, საქართველოს სახალხო არტისტთან, ნოდარ მგალობლიშვილთან ერთად. ქალბატონი ნინოსა და ბატონი ნოდარის გაცნობისა და სიყვარულის ამბავი, ალბათ, ცალკე წერილის თემაა. როგორ აიღო ინიციატივა, მაგრამ როგორ უშინოდა ჟურნალ “ომეგას” ჟურნალისტს, ნინო ჩიკვიშვილს, საყოველთაოდ აღიარებულ შკაცრ მსახიობთან ინტერვიუს ჩაწერა. ყველას გასაოცრად, როგორი სიტყვაუხვი აღმოჩნდა რესპონდენტი მასთან და დღემდე როგორ ინახავს იმ ჟურნალისტის

კითხვების გრძელ არხას მსახიობი, რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების თანამგზავი გახდა. აქვე დავძენთ, რომ ქალბატონი ნინო ორი ვაჟის დედაა.

მთელი ბავშვობა დანირში მაქვს გატარებული, გვითხრა. სოფელსაც ახსოვს, ზაფხულობით დედაქალაქიდან დასასვენებლად ჩამოსული პატარა გოგო ძაბის ბიბლიოთეკიდან ეზიდებოდა წიგნებს წასაკითხად. “ასაკთან ერთად მოვიდა ფუძის სიყვარული. დედაჩემი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ მე აქ ჩამოვიდოდი. ერთხელ ერთმა უცნობმა ქალმა ასეთი რამ მითხრა: ასაკთან ერთად მიწას ვუახლოვდებით და იმითმ გვიყვარსო. როგორი სიბრძნეა!” – გაიხსენა მან. თბილისში დაიბადა და გაიზარდა, თუმცა, როცა ეკითხებოდა, ამბობს, რომ გურულია და არა თბილისელი. ბებია ბერეკიანის გვარის ქალი იყო, სოფელ ხიდისთავიდან. მერე მისი ბებია, როცა რევოლუციამ ყველაფერი წაართვა, თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ხოლო ბაბუა, მილოს ჩიკვიშვილი ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურიდან. თვითონ ქალბატონმა ნინომ მხოლოდ ერთხელ ნახა თავისი სოფელი და იქ დაბრუნების სურვილი ხშირად ახსენებს თავს.

დედის, დანირში მცხოვრებ კილტავათა გვარის შესახებაც გვიამბო. აკაკი შანიძეს თავის სტუდენტისთვის, ქალბატონ ნინოს დეიდასთვის – ნუნუ კელტავასთვის, სიის ამოკითხვისას უთქვამს, თქვენი გვარი აკილტავაა, წარმოშობით აფხაზეთიდან. თავის ბაბუა ბიქტორ კილტავასა და მის ძმებზე, პლატონსა და სერაპიონზეც მოგვითხრო, როგორ მიჰყვებოდა ბაბუა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ნოე ჟორდანიას, ემიგრაციაში. როგორ ჩამოსვა ძალით ნათესავმა ლადო ფრანგიშვილმა იგი გემიდან: სად მიდიხარ, ფეხმძიმე ცოლს როგორ ტოვებო. მალე დავბრუნდებითო. – სჯეროდა, თურმე, ბიქტორ კილტავას. ჯარში სამსახურის დროს სერაპიონი მზარეული ყოფილა. ჟორდანიას ძალიან ჰყვარებია მისი გაკეთებულ დომი. რომ მიდიოდა, დომის ქვაბი გამომართვაო. – იწონებდა თავს.

თუ არ მოისვენებთ, თეთრი დათვები უკან დაგრჩებათ, ისე გადაგასახლებთ. – დაქაღებია

## თუ გინდა, ერი გადააგვარო, მას გლეხი უნდა მოუსპო


ქალბატონ ნინოს დედას გაკეთილზე მასწავლებელი. იძულებული გამხდარა გაკულაკებულ ბიქტორ კილტავას, მისი წილი ქონება გაეყიდა და სოფლიდან წასულიყო. იგი თბილისში დასახლდა.

“სერაპიონ კილტავა იყო კლასიკური სახე, როგორი უნდა იყოს გლეხი, საუკეთესო ნიმუში, რომელსაც შრომა არ ეზარებოდა. დავამთავრე, აგრეთვე, თეატრალურ ინსტიტუტში კინო-სასცენარო მეორადი ფაკულტეტი. ჩემი სადიპლომო ნამუშევარი სწორედ მასზე გააკეთე. მართალია, მაშინ ფილმი არ გადაუღიათ, მაგრამ ჩემი ხელმძღვანელი ერთმანეთს ახვედნიან სულ მეუბნებოდა, სცენარი დამესრულებინა. 90 წლის სერაპიონი სამჯერ თოხნიდა ყანას. დედაჩემი და დეიდაჩემი ეხსუბებოდნენ, გადმოდი, რას იტყვის ჩვენზე ხალხიო. 96 წლისა გარდაიცვალა და ამ ქვეყნიდან წავიდა ერთი ნატკრით, როდის მოეწერებოდა კომუნისტების გადაშენებას. კოლაუმ მითხრა ერთხელ: “თუ გინდა, ერი გადააგვარო, მას გლეხი უნდა მოუსპო”. ასეც მოხდა. კომუნისტებმა ქვეყანას გლეხი წაართვეს, მას ფეიქია გადაუგვარეს, კერძო საკუთრების განცდა დაუკარგეს და იოლ ცხოვრებას მიაჩვიეს. ის, რაც დღეს ხდება, კომუნისტების ბრალია. ისინი ილუზიას ქმნიდნენ, რომ კარგად ვცხოვრობდით. ჩვენი უბედურება ის არის, რომ 70-წლიანი კომუნისტური რეჟიმი გადავიტანეთ. ხოლო თუ გინდა, რეჟიმი თავისი საქმე გააკეთოს, ბოგანოები უნდა ააღზევოს. მათ არისტოკრატია მოსპეს. დღეს გლობალიზაციაა, ვინც ეროვნულად აზროვნებს, ის არავის უნდა. თუნდაც, ჟორდანიამ რა უქნა ქაქუცა ჩოლოყაშვილს, დაპირისპირების მერე, ქაქუცა ვერც წამოღდა”. – გვეუბნება ქალბატონი ნინო და ადამიანებისგან დაცლილი სოფლის სატკივარზეც აკეთებს აქცენტს, ხალხის უპასუხისმგებლობაზეც, თუ როგორ არ გუფრთხილდებით ჩვენს ქვეყანას.



თქვენ რა აზრის ბრძანდებით ამასთან დაკავშირებით?

– ეს იყო პაოლო იაშვილის იდეა. ახლა იმასაც ამბობენ, რომ პაოლო იაშვილის დაწერილი არ არის დარიანული ლექსები, რადგან გრანტები გადმოიხილონ ქალთა უფლებების დამცველებმა. ახლა ქოსია, ადრე იყო ცენზურა, რაც ძალიან დიდი უბედურება იყო. მწერალი უნდა დამდგარიყო რიგში და თუ არ ჰყავდა გადენიანი პეტრონი, წიგნს არავინ უბეჭდავდა. ახლა მეორე უბედურებაში გადავიდით. მართალია, ცენზურა არის



– გალაკტიონისა და ცისფერყანწელის ურთიერთობა კიდევ სხვა თემაა. ძნელია, ზუსტად მიხედვით, რა ხდებოდა. კოლაუ ცნობილია როგორც გალაკტიონის მოპაექრე და მოძულე. მასსოვს, პირველად რომ მიველი მასთან და ეუთხარო: ბატონო კოლაუ, თქვენ იყავით ქართული პოეზიის მეფის თანამედროვე და როგორ მოიგონებთ გალაკტიონ ტაბიძეს-თქო, მიპასუხა. ვინ გითხრა შენ, ქართული პოეზიის

– შეიძლება, პარალელი გავაკლავთ ლიტერატურულ პროცესებთან? თქვენი აზრით, ეროვნულობის, ნიჭიერების დეფიციტი ახლაც ხომ არ არსებობს? კოლაუ ნადირაძისადმი თქვენს მიერ დასმულ კითხვას ვაპირებთ: როგორ ვაქრობთ, დღეს ისევ სტირდება ქართულ მწერლობას ცისფერყანწელები?

– ლიტერატურული პროცესები ჩვენში, რომ იტყვიან, დღეს დულს და გადადულს. საუკუნის დასაწყისში ხდება ხოლმე, მთავრდება ძველი ეპოქა და იწყება ახალი. ასე იყო მაშინაც, ცისფერყანწელები რომ მოვიდნენ. შემდეგ მათ ბრალად დასდეს, ილიას და აკაკის დაუპირისპირდნენ. პაოლო ხომ ამბობს: “ბუთხოვენი მხოლოდ ყრუა და წარსულმა ვერ გადმოცა ეს ანდამანტი”. ძალიან საინტერესოდ წერს კოლაუ თავის მოგონებებში: მკედარი ცხოვრება, დუნე ცხოვრება უნდა გამოვლენიყენებინათ ცისფერყანწელებს.

– გამოვლიძის კიდევ, თუმცა კომუნისტების პერიოდში სხვაგვარ

ვარ კონტექსტში წარმოადგენდნენ მათ შემოქმედებას.

– გამოვლიძეს თავისი ეპატაჟური გამოსვლებით. კოლაუმ მითხრა, რომ პროვინციული იმის წინააღმდეგ იბრძოდნენ და არა ილიასა და აკაკის წინააღმდეგ. იტყობა, ეს მათი ერთგვარი ხერხი იყო. მაგონდება, სპექტაკლი “არშინ მალაღანი” უნდა გამართათ ქუთაისის თეატრში. ამ დროს ლიტერატურული ორდენის წევრები საფრანგეთიდან და რუსეთიდან ჩამოსული, ღრმად განათლებული ახალგაზრდები იყვნენ. პაოლო იაშვილი მაშინ დაბრუნდა საფრანგეთიდან, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო. არ უნდოდათ ეს პროვინციული “არშინ მალაღანის” მოსმენა და დაამზადეს რაღაც მყრალი ხსნარი. სანამ სპექტაკლი დაიწყებოდა, მოასხეს ეს სითხე დარბაზში. მაყურებელი ვერ გაძლებდა ისეთი სუნის დაღვა და მართლაც ჩაიშალა სპექტაკლი. ხულიგნები იყვნენ, აბა, რა! ესეთებუნებარებდა ვრჩებითო, კოლაუმ.

– გრიგოლ რობაქიძის მოწვევ

ვა ამ ორდენში ვარდა იმისა, რომ ვეროპულად აზროვნებდა, იმითაც ხომ არ იყო განპირობებული, უფრო მეტი ავტორიტეტი მოეპოვებინათ მათთვის დამახასიათებელი ქმედებების ფონზე?

– გრიგოლ რობაქიძე ერთგვარ მედროშედ ჰყავდათ, დიდური გახდა. იგი იყო გამორჩეული სახელი, რომელიც ვეროპულად აზროვნებდა, რაც შეეხება მის ინტელექტს, მაშინ ძნელად თუ ვინმე დაიკვირებოდა.


ცისფერყანწელებს იდეური ერთობა ახასიათებდათ, თუმცა, ბოლოს რობაქიძე თავს მათ წევრად არ მიიჩნევდა. შეიძლება, აქ ორი რამ თამაშობს, ის, რომ ეს მწერალი აკრძალულია და გაქცეულია საქართველოდან, ცისფერყანწელებს კი აიძულებს მის წინააღმდეგ მიეცათ ჩვენება. ეს ცალკე მტკივნეული თემაა და რობაქიძემ კარგად გაიგო, ვინ რატომ დაწერა მასზე.

– არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება “ცისფერყანწელები” არა პაოლო იაშვილს, არამედ გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის,

სიმახსიჯე, მაგრამ მე ბევრი ფული მაქვს და წიგნს ვუშვებ, არ ნიშნავს, რომ მწერალი ვარ. ასეთი მდგომარეობაა ლიტერატურის ყველა დარგში. დავიწყეთ, თუნდაც, საბავშვო ლიტერატურით.

– ამბობთ, რომ თქვენი ბედი ლიტერატურაში კოლაუ ნადირაძესთან ურთიერთობამ გადაწყვიტა. როგორ გაიხსენებთ მასთან შეხვედრას?

– შეიძლება, ცხოვრებაშიც გადავიწყვიტა. კოლაუ და მისი ცოლი ისე იყვნენ ერთმანეთთან ასაკობრივად განსხვავებული, როგორც მე და ნოდარი. კოლაუ იყო ქალების დიდი მოყვარული...  
– და არა მარტო კოლაუ, ალბათ, ვეველა ცისფერყანწელი.  
– დიას, “გეყვარდეთ ქალი ვნებიანად და დაუზოგავად ამრავლეთ ხალხი” – ამას წერდა პაოლო იაშვილი, რამაც საერთოდ გააგიჟა საზოგადოება, ახალგაზრდა გოგონებს მათთან ურთიერთობას უკრძალავდნენ.  
– თუ არ ვცდები, გალაკტიონი აქაც გამოხატვის იყო.



მეფე რომ იყო გალაკტიონ ტაბიძე. სახტად დავრჩი. დავა იყო იმაზე, ვინ ჩაატარა ქართული ლექსის რეფორმა, ცისფერყანწელებმა თუ გალაკტიონ ტაბიძემ. კოლაუს ჩემთან აქვს ნათქვამი, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, გალაკტიონი არ იქნებოდა იმ გაქანებისა და მასშტაბის, რაც იყო.

კოლაუსთან ჩემი ნაცნობობა იმით დაიწყო, რომ უნივერსიტეტში გამოდიოდა ჟურნალი “პირველი სხივი”, რომელთანაც არსებობდა ლიტერატურული წრე. მისი ხელმძღვანელი იყო ჩემი ჯგუფელი კახა ლორია, მე ვიყავი მდივანი. ერთ-ერთ შეკრებაზე რვეუზ მიშველაძე მეკითხება, კოლაუ ნადირაძეს თუ იცნობთო. არ ვიცნობდი. ისე, სიმართლეს თუ ვიტყვი, მაშინ მე ვიყავი კომპაზიტირელი ლიტერატორი, გვასწავლიდნენ, რომ ეს კარგი პოეტია, გვეგონა, მართლა კარგი იყო, ცუდია – ცუდი იყო. ბევრი პოეტის შესახებ არც ვიცოდი, რადგან აკრძალულები იყვნენ. პირვე-

ლად, ჩემმა ლექტორმა ოთარ ჩხეიძემ გვითხრა, ნიკო სამადაშვილი წაგვეკითხა, რომ ის დიდი პოეტია. იმ პერიოდში გამოვიდა კოლაუ ნადირაძის წიგნი “რაც ლექსად ვერ ვთქვი”. ამასთან დაკავშირებით უნდა გამეკეთებინა მასთან ინტერვიუ. არაფერი მაქვს წაკითხული მისი შემოქმედებიდან გარდა ამ წიგნისა და ვიცი, რომ ყანწელია. დავურეკე და ვაცინო თავს: სტუდენტ ვარ, თქვენთან მოხვალა მინდა. აქ ჩანს კოლაუს ხასიათი, მისი პიროვნება. მისმენს, პაუზა და მეკითხება: თქვენ კომუნისტური პარტიის წევრი ხართ? გაეწმინდა. რატომ გაეწმინდა. რას მეკითხებით, ვერ გავიგებოქო. გეკითხებით, ხართ თუ არა კომუნისტი! – მითხრა მკვასხედ. არა, ბატონო კოლაუ, არ ვარ-მეთქი. კარგი მაშინ, მოდი. მივედი. კარი მისმა მუხლემ, შემდეგ უკვე ჩემმა საყვარელმა დეიდა ნორამ გამიღო. კოლაუმ შორიდან იკითხა, თუ ვინ ვიყავი. კარგი, შემოვიდეს, მაგრამ ჰკითხე, კომუნისტი არ იყოს. შევედი და აღმოვჩნდი იმ საოცარ სამყაროში.

– დამეთანხმებით, ალბათ, რომ კოლაუ ნადირაძე არ არის პოპულარული პოეტი?

– მისი ხასიათის გამო. ერთი, რომ გალაკტიონის მიმართ თავის პოზიციას ძალიან ხმაძლდა, აშკარად ამბობდა და მეორეც, არავის არაფერს შეეხვეწებოდა, არაფერს დაუთმობდა, გუნდურს არავის უკმევდა. პაოლომ თავი რომ მოიკლა და ბევრს რომ ევროს, მთელი თბილისი და საქართველო ფეხზე დადგებოდა, ერთადერთი მეგობარი კოლაუ იყო, რომელიც პროცესიას გაჰყვა, მიუხედავად იმისა, რომ ჭირისუფალთა სიაში არ ეწერა. კვბის მეთოდი იყო ასეთი, დედას ტირილი აუკრძალეს და მარტო ოჯახის წევრები უნდა გაჰყოლოდნენ სასაფლაოზე. ამ დროს დაინახეს კოლაუ. ქობულავი მივიდა და ჰკითხა, თქვენ ვინ ხართ, სიაში თუ ხართ. მე არ მჭირდება სია, როცა მეგობარს ვასაფლავები, უპასუხა. მან სიცოცხლე გასწირა, მაგრამ სხვანაირად ვერ წარმოედგინა. მთელი ცხოვრება ასეთი დარჩა. თქვენ გენახათ, როგორ ცხოვრობდა კოლაუ ნადირაძე და რა სახლში დაიბადა და გაიხარდა. ეს სახლი არის ქუთაისში, დერმონტოვის ქუჩაზე, უნიკალური არქიტექტურის, 150 წლისაა, რომელიც მზითავდ ერთ კოლაუს დედას. კოლაუს მამამ, გალაკტიონ ნადირაძემ კი რამდენიმე ოთახი მიუძღვნა. ისეთივე მშვენიერია, როგორც პაოლოს სახლი. როგორც ძველი, ისე უნდა იყოს შემონახული, განსაკუთრებით პაოლოს სახლს ვუფლისხმობ, სადაც კარის სახელურებიც კი ყანწის ფორმისაა. სულ მგონია, ქუთაისელთათვის ცისფერყანწელი უნდა იყოს ბუნდები. ახლა ამდენს რომ ვლაპარაკობთ ევროპასთან ჩვენს კავშირზე, აი, ვინ იყვნენ მაშინ ევროპულად მოაზროვნენ, რისთვისაც დასაჯნენ კიდევ. ტიციანი რომ წერს თავის წერილში, როგორც არ უნდა დამთავრდეს მსოფლიო ომი, აშკარაა, რომ ევროპა მალე შემოადგებს კარს და ჩვენ უნდა შევხედოთ ეროვნული შემეცნებით შეტყუარდით. ეროვნული შემეცნებით და არა ისე, როგორც დღეს ამბობენ მავანნი.

– სამწუხაროდ, პოეტთა სამძო კომუნისტებმა გაანადგურეს, თუქცა, კოლაუ ვადარჩა...

– გადარჩა, რადგან ჩრდილში უყვარდა დედა, ის არ იყო აქტიური.

– გადარჩა გიორგი ლეონიძე, სერგო კლიაშვილი, ვალერიანე გაფრინაშვილი, შალვა აფხაიძე, რადგან გვეტყვი.

– გიორგი ლეონიძის ძმა, ლევან ლეონიძე, კი იმ რანგის მოღვაწე გახლდათ, რომ რეპრესიებს ვერ გადაურჩა. გამომცემლობა “ინტელექტმა” სერიით “ჩანაწერები” გამოცხადა ჩემი წიგნი, ლევან ლეონიძისა და მისი გერმანელი მეუღლის

დღიურები. ლევან ლეონიძე კომუნისტებმა გაუშვეს ქალაქ კილში სასწავლებლად, ზოტკეიციოსი გახლდათ. იქ მან გაიცნო, ცოლად შეირთო და საქართველოში ჩამოიყვანა ულამაზესი, უმშვენიერესი, უკეთილშინიერი ქალი, მარია პოფმანი. აი, ამის გამო დახვრიტეს იგი. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ “ინტელექტსა” და “არტანუჯში” დაიბეჭდა ჩემი წიგნები “უკანასკნელი ცისფერყანწელი” და “მე პაოლო ვარ”. რისთვისაც მადლიერება მინდა გამოვხატო. და აქ მადლიერებით უნდა ვახსენო მწერალი ზვიად კვარაცხელია. იგი გახლავთ ამ გამომცემლობის ერთ-ერთი თავგაცი, “ინტელექტის” მთავარი რედაქტორი და თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების ქომაგი. როცა კოლაუ ნადირაძის ლექსების წიგნზე ვმუშაობდით, მაშინ მოვეუყვები ზვიადს, თუ რა მიაბო კოლაუმ პაოლოს უკანასკნელი დამის შესახებ. სხვათა შორის,



კოლაუ და პაოლო მეზობლებიც იყვნენ. კოლაუ რომ ჩამოვიდა თბილისში, სახლი არ ებადა და პაოლომ ჯაფარიძის ქუჩაზე (ახლა იაშვილის ქუჩა) თავის სახლში ოთახი გაჰყო და მას აწუქა. უთხრა, შენ აქ იცხოვრე. ამდენად ახსოვდა ის ტრაგიკული დღე. ეს რომ მიაბო, მაშინ 20 წლის ვიყავი და ისეთი მძაფრი შთაბეჭდილება მოახდინა, მეგონა, არასდროს დამავიწყდებოდა, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და ამიტომაც ვიკავებდი თავს. უარი რომ ვუთხარი ზვიადს, ჟურნალ “ქართული მწერლობის” ყდაზე მიაწერა: შემდეგ ნომერში “პაოლო იაშვილის უკანასკნელი დამე” – ნინო ჩხიკვიშვილი. იძულებული გამხალა დამეწერა ეს წერილი.

წიგნი “უკანასკნელი ცისფერყანწელი” უფრო დოკუმენტური პროზისკენ იხრება. “მე პაოლო ვარ” კი ჩემი პირველი მოკრძალებული ცდაა მწერლობაში. ბავშვობაში კი ვწერდი, მაგრამ... სტუდენტობაში მყავდა პედაგოგი, ბრწყინვალე მწერალი, მართლაც, საოცარი პიროვნება, ოთარ ჩხეიძე. მე დავამთავრე ფილოლოგიის ფაკულტეტი სპეციალობით – მხატვრული შემოქმედება და კრიტიკა. სპეციალობაში ასევე გვიკითხავდნენ: მიშა ქელიძე, ბესიკ ხარაბაული, გიგლა ხუბაშვილი, ნოდარ წულუისკირი და სხვები. მყარი კვალი ჩემს პიროვნებასა და პროფესიულ დაოსტატებაზე ოთარ ჩხეიძემ დააჩნია. ასეთი მონოლითური პიროვნებები იშვიათად თუ შეგხვდებიან.

– “გარდასული ეპოქების სურათებს ისე სახიერად ვხედავ, ვერც კი ვარჩევ, რეალობა თუ წარმოსახვა: ძვირფასი ლანდები მეცხადებიან...” წერს წიგნის წინათქმვაში. ეს ხომ არ ვახდა მიზეზი წიგნზე მუშაობისას, მის-

ტიფიკაციის ხერხი ავერხათ?

– მეც არ ვიცი, ასე მოვიდა, ასე დაეინახე. ერთხელ როსტომ ჩხეიძემ თქვა, ნინოს დაავიწყდა ჩვენი თანამედროვე რომ არის და მათი ტოლი ჰგონია თავით. ეს სიმძაფრე დატოვა კოლაუმ. ზვიად კვარაცხელიას ვეუბნებოდი, ჩემს წიგნს “უკანასკნელი ცისფერყანწელი” ჰქვია, ჩემთვის გამოთხოვება სიყმაწვილესთან.

კოლაუსთან მივედი კომკავშირელი გოგო და გამოვედი იქიდან სულ სხვანაირი. ქაქუცა ჩოლოყაშვილი ვინ იყო, საერთოდ არ ვიცოდი, არც აგვისტოს აჯანყების ამბების შესახებ ვიცოდი რამე. გახსნა ერთხელ კოლაუმ უბის წიგნაკი, რომელშიც ერთ მხარეს იღო პაოლოს და ტიციანის სუ-



ემეტებოდათ, რადგან ანდრეი ბელი იყო მასზე გამოსახული. ეს სურათი ეკიდა სახლში კედელზე კოლაუ ნადირაძეს. ერთხელ, მის ქალიშვილს ირაკლი აბაშიძე ხელება გზაში და ეუბნება: მამაშენს გრიგოლ რობაქიძის ფოტო რომ უკიდა, ჩამოიღოს, თუ არა, მიეყოლებო ხედი. – მამა, როგორი ჯიუტი ხარ, გინდა, რომ ყველა დაგვიტიროს, უთქვამს სახლში დაბრუნებულ შვილს. ოცდამეცხრეტი კოლაუს სიძეც დაიჭირეს და დახვრიტეს. ჩამოიღო ეს სურათი კოლაუმ, წაიღო ფოტოატელიაში, იქიდან გრიგოლ რობაქიძის სურათი გააღიდა და სამუშაო მაგიდაზე დადო და თქვენ მეკითხებით, რატომ იყო კოლაუ მიჩქმალული. კომუნისტებს არ შეეკრებოდა, იდუარად და სულიერად ბო-

ის გაცხადებაც. ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორმა მანანა მიქაძემ 2016 წელს გამართა საერთაშორისო რანგის სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიძღვნა სწორედ ცისფერყანწელთა ორდენის დაარსების 100 წლისთვის და მოწვეულნი იყვნენ პოეტების შთამომავლები, კალოლი, კოლაუსი, სერგო კლიაშვილის, ნიკოლო მიწვიშვილის ვაჟმა, ბატონმა ილმაზმა გახსნა სამეცნიერო კონფერენცია და მიესალმა მონაწილეთ.

ქუთაისური ფილიალის ხელმძღვანელი – მაია პაქსაშვილი თავგადაღებული მუშაობს: ქუთაისში, 100 წლისთავთან დაკავშირებით, მერიის დახმარებით, გამოიცა ყანწელთა ალბომი და სახუბი იმ სადამო გაიმართა ლადო მესხიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში. მოპატივე-

ბული იყვნენ ყანწელთა შთამომავლები და ამ სარამოზე ყველა მათგანი ჩამოვიდა, სიხარულითა და სიყვარულით სავსე სადამო იყო. აი, რაც შეეხება ჩემი წიგნის – “მე პაოლო ვარ” – წარდგენას, ქუთაისში პირველი შეხვედრა გიზო თავაძემ გამართა. ბატონი გიზო საინტერესო მოღვაწე გახლავთ, ეროვნული მოძრაობიდან მოდის და ღირსეული პიროვნებაა, შესანიშნავი პოეტი და მწერალი. “ლიტერატურული სარდაფი” აქვს გამართული ქუთაისში. იქ გვიმასპინძლა, მეორე შეხვედრა “საჯარო ბიბლიოთეკაში” გამართა ქალბატონი რიტა წაქაძის ინიციატივით. მესამე – არგვეთში. თვით პაოლოს სახლ-მუხეუმში მოეწყო წიგნის წარდგენა და მინდა გითხრა, ეს იყო ნამ-



ლომდე დარჩა თავისი მრწამსის ერთობლი.

– და მინც აპტიეს ლექსი “1921 წლის 25 თებერვალი”...

– ამ ლექსმა ახიდა ფარზე კოლაუ ნადირაძის სახელი. რატომ წერო, “შემოდიოდა სიკვდილი ცელთ”-ო, უკითხავთ კოლაუსთვის. ყოველთვის სიმართლეს ვწერ და ახლა რატომ უნდა დამეწერა სიცრუე. ასაკმა გადამარჩინაო, იხსენებდა.

– თქვენ ხართ ფონდის “ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის” გენერალური დირექტორი, თუ შეიძლება ამ ფონდის საქმიანობის შესახებ მოვეუყურო?

– მადლიერებითა და სიყვარულით მინდა მოვიხსენიო ქუთათურები, რასაც ჩემი ფონდის დასახმარებლად აკეთებენ. დიდ დახმარებას უწევს ქუთაისი. რამდენიმეჯერ შეხვედრა გაიმართა კიდევ სულ პირველად კოლაუ ნადირაძის 100 წლისთავი აღინიშნა 2015 წელს. კულტურის სამსახურის უფროსი ვაჟა ჯუღელი და მისი მაშინდელი მოადგილე ელისო ქაროსნიძე აქტიურად იყვნენ ჩართულნი ამ დღისსიძებაში. დასმა “მარჯანიშვილები” ჩემი წიგნის მიხედვით მოაწყო ლიტერატურული კომპოზიცია. მაშინ მოხდა ამ ფონდის დაფუძნება და სამომავლო გეგმებ-

დეილად დაუვიწყარი შეხვედრა, ვიტყვი, უცნაური ხეიმიც კი პაოლოს სულისა.

დროდადრო ფონდი ხსოვნის სადამოებს აწყოებს, ახალ წიგნებს განვიხილავთ.

ჩვენი ფონდის ინიციატივით მემორიალური დაფები გაიკრა ქუთაისში კოლაუსა და პაოლოს სახლებზე.

გვაქვს სამომავლო გეგმაც დასახული და ვნახოთ აბა, რა გამოვა, კიდევ რით გამოიხენენ თავს ჩემი საყვარელი ქუთათურები.

ქალბატონი ბაია კოლაშვილი, როცა თბილისში “შაქრო ბაბუაში” დაესწრო ჩემი წიგნის წარდგენას პაოლოზე, აი, მაშინ მითხრა, რომ ყანწელთა ფონდს განსაკუთრებით დაეხმარებოდა, ქალბატონი ბაია გახლავთ ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის უფროსის მოადგილე და მის თანადგომას ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის.

– ცხადია თქვენს წიგნსა და “ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის” საუბარი დაუხრულებლად შეიძლება. მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის და სასაამონო, რომ “წევრებს” სტუმრობდით.

– ქეთევან, გამადლობ, მადლიერი ვარ ყურადღებისთვის.

# „ყაშირჯი სემერედიოლი მოციხე სემოხი, მონასტერში“...

ნათია ნაცვლიძე

**ის ახლა უფლის ჯარისკაცია, სცისის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი იობი! ერისკაცობაში კი ზეიად გვეგვიძიებდნენ მის საყვარელ ქალაქში. იღუმენს მშობლიურ სამტრედიასთან კავშირი არასდროს გაუწყვეტია. წელიწადში ერთხელ საყვარელ ქალაქს ტრადიციულად სტუმრობს. „სამტრედიის მაცნეში“ მისი მოულოდნელი გამოჩენით ვისარგებლეთ და ინტერვიუ ვთხოვეთ. — ძალიან ბევრი სულიერი შვილი მყავს ჟურნალისტი პრესაშიც და ტელევიზიაშიც, არანაირ კითხვას არ ვერიდებო, ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი.**

— მამაო, გზა ბერობამდე როგორი იყო? როგორი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება სამტრედიის მამათა მონასტერში გახრდილი უბრალო ბიჭისათვის, რომელიც პირველ სკოლაში სწავლობდა უღმერთობის ხანაში (ჩვენ ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ), როცა ადგილობრივი კვარცხით გაწითლებული ხელის გამოჩენაც კი სკოლაში მკაცრად იკრძალებოდა. ან იქნებ წინაპრები გვაუბნებდნენ სასულიერო პირები?

— დიან, კომუნისტურ პერიოდში მომიწია სწავლა. მახსოვს, ბოლო ორი წელი ვისწავლე მეცამეტე სკოლაში, სადაც სკოლის დირექტორი ბადრი ტონია იყო. პირველად მახსოვს, ბადრიმ გვითხრა, რომ უნდა წაგვეკითხა ლოცვები სწავლის წინ, სკოლაში, სახლში კი დილის და საღამოს ლოცვები. შეიძლება ითქვას, რწმენასთან ჩემი პირველი შეხება აქედან დაიწყო. ის ჩემთვის მარტო დირექტორი არ იყო, იყო უახლოესი ადამიანი, ისეთი კაცი, რომელთანაც ნებისმიერ დროს შეგეძლო მიუსულიყავი და გესაუბრა, როგორც უფროს მეგობართან და კარგ ადამიანთან. დღემდე მახსოვს, სხვათა შორის, ძალიან ბევრი რაღაც ვიცი მასთან დაკავშირებით, მაგრამ, ამჟამად სხვა დროს... რაც შეეხება ნათესაურ კავშირს, მყავდა ბებია ბიძაშვილი, რომელიც მეკუთვნიდა ბაბუად, ზარზმის მონასტრის წინამძღვარი, მამა გიორგი ხაბეიშვილი. მას ჰყავდა შვილი, რომელიც იყო ჩემი თანატოლი და რომ ვისვენებდი ზაფხულობით თერჯოლაში, სადაც საერთო დიდი ბებია გვაყავდა, იქიდან მახსოვდა ოთხმამათსა და პარასკევს მარხვა რომ იყო. მართალია, მამა ვერ ვაცნობიერებდი მის მნიშვნელობას, მაგრამ ესეც დასაწმისი იყო სულიერი ცხოვრების. მამა გიორგი უკვე გარდაცვლილია, მას ოჯახში კაკალოსაც ემხდნენ, მეუბნებოდა, მონასტერში უნდა წაგიყვანო. სახლში მეტყობდნენ ხოლმე, კაკალოსთან უნდა გაგიშვათო. მასთან

ერთად არ მომიწია მონასტერში ცხოვრება, მაგრამ მერე მოხდა ისე, რომ მეც წავედი მონასტერში. ვარ სცისის იოანე ნათლისმცემლის შობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენი. ეს არის მეათე საუკუნეში აშენებული ტაძარი, დავით აღმაშენებლის ბებია, გურანდუხტ დედოფლის მიერ. სამწუხაროდ, ბევრი რამ არ არის ისტორიულად ცნობილი, გურანდუხტს ჰყავდა ორი შვილი — დავითის მამა და მამიდა. დავითის მამიდა იყო რომის იმპერატორის მეუღლე. ცოტა უცნაური ისაა, რომ ის სამჯერ იყო გათხოვილი, ორი ქმარი იმპერატორი ჰყავდა და ერთი — მხედართმთავარი.

— ეს პოლიტიკური კონიუნქტურით განპირობებული იქნებოდა თუ ქორწინებები იყო?

— დიან, თანაც, გავლენიანი ქალი იყო, საემოლო ჯეკვანი და დავითის მოეხმარა გამეფებაში. არის ცნობები, თითქოსდა დავითს ჯეკვანის ნები ეხმარებოდნენ გამეფებაში, რაც არასწორია. იმპერატორის დაცვა, რაც მეგვიდრეობით დარჩა მის მამიდას, ეხმარებოდა დავითს. ამ დამხმარებაში იგულისხმებოდა არა მარტო სიცოცხლის დაცვა, ასევე, ინფორმაციის მოპოვება საზღვრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ მონასტერში ძირითადად თარგმნიდნენ კონსტანტინეპოლში გასაგზავნად და იქიდან ჩამოსულ წერილებს. არის ასეთი გადმოცემა, როცა მონასტერში ამოდიოდა დავით აღმაშენებელი, ყოველთვის წვიმდა... მონასტერს მეორე სახელი ჰქვია — წვიმიანი. ირგვლივ შეიძლება არ წვიმდეს, მაგრამ იქ ყოველთვის წვიმს...

— მამაო, თქვენ წერთ? ამ მართლებით მუშაობთ?

— არა, ვერ ვახერხებ. დღესდღეობით ბერების რაოდენობა მონასტერში ცოტათი შემცირდა. შიდა ქართლი დატვირთულია მონასტრებით, ტაძრებით და არ გვყოფნის რესურსი, რომ ერთ მონასტერში რამდენიმე ბერი იყოს და რაღაც სამუშაოები ჩატარდეს. ამიტომ, გადანაწილებულია. მიუხედავად ამისა, ჩემი მონასტერი მაინც მრავალრიცხოვანად ითვლება. ორი მღვდელი ვართ, ოთხი ბერი არის, მორჩილებიც არიან. მაინც არ არის ეს საკმარისი სრული დატვირთვისთვის.

— თქვენველი შეფასებით, დღესდღეობით, ქართული საზოგადოება რამდენად მორწმუნეა? სასულიერო პირები ყოველთვის უნდა იყვნენ ჩვენი მასწავლებლები, მოდიან თქვენთან დახმარების, რჩევების სათხოვნელად?

— ცალსახად შეიძლება ითქვას, ქართული საზოგადოება ძალიან მორწმუნეა, ჩვენ გვახასიათებს ერთი რამ: ეკლესიაში მივიდვართ ბოლო წუთს, როცა ყველაზე მეტად გავიჭირდებით, მაგრამ ესეც ნორმალურია გამოძინარე დღევანდელი ყოფიდან. არ ვიტყვი, რომ მარტო საქართველოშია პრობლემები, ასეა მთელ მსოფლიოში უშუალოდ და ეკონომიკური გასაჭირი და საქართვე-

ლოც ავტომატურად ხვდება ამ წრეში. ყველაზე კარგი ის არის, რომ როდესაც უკიდურესი გაჭირვებაა, მაინც მოდიან ეკლესიაში. ქართველობა და ქრისტიანობა თითქმის ერთი და იგივე ცნებებია, ენაში გვაქვს ტერმინები: კაცობა, ვაჟკაცობა, ადამიანურობა, რაც გულისხმობს პატივს, მიტევებას, დახმარებას, გვერდით დადგომას. ჩვენი ეს ქცევები, ტრადიციები სარწმუნოებასთან არის დაკავშირებული.

— გაუჭირდა რწმენას, სამწუხაროდ, ათასი საცდურია ირგვლივ, მავნებლური შემთავაზებებისგან უკანდახევა ძნელია...

— სამწუხაროდ, არის შემთხვევები, სექტებში წვერიანდებიან. მაგალითად, მქონდა რამდენიმე წლის წინ შემთხვევა: 15 წლის ბავშვი მოვიდა და მითხრა, ღედა 50-იანელი მყავს, ბებია კი, იელოველი. მამა ქრისტიანულად მზრდიდა, მაგრამ გარდაცვადა, არ სურდა სახლში გაჩერება და დარჩა ჩემთან. მაინც გადავწყვიტე, დამერეკა დედისათვის და მეთქვა, სად იყო მისი შვილი, ამ დარეკვას კი მოჰყვა მუქარა, არასრულწლოვანი ბავშვის გადაბირებაზე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, მე შევთავაზე, ბავშვი რაღაც პერიოდს დარჩენილიყო ჩემთან, სადმე რომ არ წასულიყო და არ დაკარგულიყო. როგორც ჩანს, თავიანთ სულიერ ლიდერებს დაელაპარაკნენ და დამიძახეს გასაუბრებლად, ჯერ მომიწია 50-იანელებთან, მერე იელოველებთან საუბარი. ყველაზე კარგი ის იყო, რამდენიმე ადამიანი მითხრა, რომ ჰქონდა კიდევ სხვა შეკითხვები და სურდათ ცალკე შეხვედრა. გამოთქვეს სურვილი ეკლესიაში მოსვლის. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: მსოფლიოში არსებობს მხოლოდ სამი რელიგია: ქრისტიანობა, მუსულმანობა და ბუდიზმი. ბუდიზმი ერთ-ერთი უძველესი რელიგიაა, ყველასთვის ცნობილია, მუჰამედი იყო მწვალებელი, სექტანტი ქრისტიანი, იმ პერიოდშიც იყო ქრისტიანული სექტები: არიანელები, მაკედონელები, იქიდან გამომდინარე შექმნა მუჰამედმა ეს მიმდინარეობა და ძალაუფლება გავლენით მოაპოვა. სხვა დანარჩენი არის სექტა, სექტა ეს რამდენიმე ადამიანის მოსაზრებაა, რაც ჭეშმარიტება ვერასოდეს იქნება. ქართველი ადამიანი კი ერთი და ორი ადამიანის მოსაზრებაზე არასოდეს ივლის. ძალიან ადვილია დაბრუნება ეკლესიაში და რაღაცის გამო რომ ტოვებენ ეკლესიას, ასეთი ქართველებიც უბრუნდებიან მის წიაღს... ამის უამრავი შემთხვევა მაქვს.

— სამტრედიას ხშირად სტუმრობთ? გეყოლებათ მეგობრები, რომელთათვისაც საერო ცხოვრებაში დამახსოვრებული სახეც ხართ. რას გვეტყობათ თქვენს ქალაქზე?

— სამწუხაროდ, იშვიათად მიწვევს სამტრედიის ჩამოსვლა, შეიძლება, წლის განმავლობაში ორ-სამჯერ მომიწიოს მოსვლა. მთელი ბა-



ვშობა, საერო ცხოვრება აქ მაქვს გატარებული, ბევრი მეგობარი და ახლობელი მყავს, უამრავი მოგონება მაკავშირებს სამტრედიასთან, ყველაზე გასახარი კი ისაა, რომ ძალიან ბევრი სამტრედიელი მოდის ჩემთან მონასტერში სულიერად გასაძლიერებლად თუ დასახმარებლად. მოდიან კლასელები, მეზობლები, მეგობრები, ახლობლები, ჩემი კლასელების შვილებიც. მიუხედავად იმისა, აქ არ ვცხოვრობ, ამ ქალაქის ცხოვრებაში მაინც ჩართული ვარ. ხშირად დამირეკავს და მითქვამს მათთვის, რომ მოსულიყვნენ დასახმარებლად, ყოველთვის ვგრძნობ მათ თანადგომას. ღვთისმსახურებას რაც შეეხება, წირვა-ლოცვებზე ჩამოვდივარ ხშირად. უამრავი ნათლული მყავს. ასის მერე ადარ დამითვლია...

— ესე იგი, არცთუ ცუდად არის ჩვენი საქმე და არც ისე შორს ვართ ქართველები დემოკრატია...

— რა თქმა უნდა, ჩვენ ყოველთვის ახლო ვიქნებით დემოკრატია მარტო იმიტომ, რომ გვაქვს ტრადიციები და...

— და გვყავს ბრწყინვალე პატრიარქი.

— დიან, ის დიდი ადამიანია! ხშირად მიწვევს საზღვარგარეთ წასვლა, 4 წლის წინ ყაზახეთში წმინდანის სახელობის ქართული ეკლესია გაეხსენით, რამდენიმე წელი ვემზადებოდით, მოვახერხეთ, ქართული მრევლისათვის ეს სასიკეთო საქმე გაგვეკეთებინა! წლეულს მქონდა შემთხვევა, იქიდან ჩამოვიდნენ მამები, უნდოდათ საქართველოს დათვალიერება, ერთი კვირით იყვნენ ჩამოსულნი. ვუთხარი, 42 წელია, საქართველოში ვცხოვრობ და მე არ მაქვს საქართველოში ყველაფერი ნახი-მეთქი, გაუკვირდათ. სამი მანქანით ვიყავით, სტუმრები დავტოვე ქუჩაში, რომ მრევლთან გამეგლო, და რომ მიებრუნდი, ვხედავ, იქ მაცხოვრებელ ხალხს, რომელთაც თავად არ ვიცნობდი, სტუმრები სახლში შეეყვანა და სუფრასთან მიეწვია. აღმოჩნდა, ერთ-ერთი მოძღვა-

რს სურდა რუსეთში საცხოვრებლად წასვლა ყაზახეთიდან და შვილმა უთხრა, საქართველოში წადი, ძალიან კარგი ადამიანები არიანო. საოცარი ის იყო, ისინი არ იყვნენ ეკლესიის მრევლი, თან არაქართველებიც იყვნენ, თანაც, რუსული ენა ცოტა დაკარგულია დღეს საქართველოში, კონტაქტი მაინც შეძლეს, მაინც თქვეს: ქართველები არიან ჭეშმარიტი ქრისტიანებიო! გაოცებული დავრჩითო, ამას ყველას მოუყვებითო! ეს სტუმართმოყვარეობა საძირკველი და საფუძველია ქრისტიანობის! სანამ ეს გვექნება, ჩვენი ქრისტიანობა არ შეირყვება!

— მამაო, ახალგაზრდებს რას ურჩევთ?

— რაც შეიძლება მეტად იცხოვრონ ეკლესიურად და ქრისტიანულად. მარტო მარხვა და ლოცვა არ კმარა, სახარებაში წერია, მაცხოვარს აქვს ასეთი იგავი: “მოვა დრო, როცა მოუწოდებ ხალხს, ნაწილს დავაყენებ ჩემს მარჯვნივ, ნაწილს კი, მარცხნივ და ვეტყვი მარჯვნივ მდგომი: მოვედით კურთხეულნი მამისა ჩემისა, რამეთუ მშობიდა და საზრდელი მომეცით, მწყუროდა და მასვით, საპყრობილეში ნუგეში მეცით, ავად ვიყავი და მინახულიყო. მითხარენ, როდის გავაკეთეთ ესო? ვუპასუხებ: რაც ერთ მცირე ჩემთაგანს გაუკეთეთ, მე გამეკეთეთო. მარცხნივ მდგომი კი ვეტყვი: რაც ერთ მცირე ჩემთაგანს არ გაუკეთეთ, ის მე ვიყავით. რამეთუ, ავად ვიყავი და არ მინახულიყო, მშობი ვიყავი და არ მაჭამეთო” ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი მოტივი არის ქცევა. ახალგაზრდას, ვინც ვერ ახერხებს ეკლესიაში მისვლას, მარხვას და ლოცვას, ერთი პატარა იგავი უნდა ახსოვდეს სახარებიდან: მშობიისათვის დახმარება, შიშველის შემოსვა, ავადმყოფის მინახულება, პატიმრის ნუგეშისცემა. ეს უფრო მეტია, ვიდრე მარხვა და ლოცვა! თუ შინაგანი მდგომარეობა არ იქნება ისეთი, რომ სიკეთე გასცეს, არაფერს ექნება მადლი. უნდა ვიმეორებდეთ: “აბა მე დღეს ვის რა ვარგე!”

# “ინტერსტელარი” კვლავ წარმატებულთა აკანგარდშია

ნათია ნაცვლიძე

2018 წლის სექტემბერში საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა საერთაშორისო ინტელექტუალურ ჩემპიონატს “რა? სად? როდის?”, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 16 ქვეყნის უძლიერესი ინტელექტუალებისაგან დაკომპლექტებულმა 50-ზე მეტმა გუნდმა. ამ მეტად მნიშვნელოვან და პრესტიჟულ ტურნირში, რომელიც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, უკვე მეორედ მიიღო მონაწილეობა სამტრედიის ინტელექტუალების ნაკრებმა გუნდმა “ინტერსტელარი”. გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: კაპიტანი გიორგი ჩაჩუა, ზაზა ადგიშვილი, ლევან ცირეკიძე, გიგა ჩალიგაძე, გიორგი ცაგარეიშვილი და მამუკა კილურაძე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელით მოასპარეზე გუნდებს შორის ჩემპიონატში, თბილისის გარდა, რეგიონებიდან მხოლოდ სამტრედიის “ინტერსტელარი” ღებულადა მონაწილეობას.



“სამტრედიის მაცნეს” ესაუბრა ინტერსტელარის კაპიტანი გიორგი ჩაჩუა: “ამ ტურნირზე ჩვენი გუნდი საკმაოდ წარმატებით გამოვიდა, ინტელექტუალურ პაექრობაში ვაჯობებთ ბევრ უცხოურ და ქართულ გუნდს, რამაც დიდი გამოცდილება შეგვძინა. სამტრედიის ინტელექტუალების სახელით, გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს, რომელთა მხარდაჭერითაც, სამომავლოდ კიდევ ვგეგმავთ სხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობას.”

“ინტერსტელარის” გამოცდილება წევრმა, ძველი გვარდიის ღირსეულმა წარმომადგენელმა ზაზა ადგიშვილმა “სამტრედიის მაცნეს” განუცხადა: “თბილისის ღია თასის გათამაშება ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, ეს საკმაოდ წარმომადგენლობითი ტურნირია, მასში მონაწილე გუნდების გეოგრაფია შთაბეჭდავია: რუსეთის, ურუგვაის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ისრაელის, მოლდოვას, ბულგარეთის, ჩეხეთის და საქართველოს გუნდები, სულ 60-მდე გუნდი. მე მგონია, საქართველოდან მხოლოდ ნაკრები, თბილისის რამდენიმე გუნდი და ჩვენ ვიფავეთ წარმოდგენილი. ტურნირი ორგანიზაციული და თემატური შინაარსით უმაღლესი სტანდარტებით ჩატარდა, ხუმრობა ხომ არაა, პოტანოვის, რუბინის, ვინოგრადოვის და სხვა ინტელექტუალური მოსტრების კამპანიაში ასპარეზობა. სამტრედიის გუნდი ძალიან გაიზარდა, “ინტერსტელარი” სუპერლიგაშია, უმაღლეს და პირველ ლიგებში მონაწილეობენ ჩვენი ახალგაზრდები სხვადასხვა გუნდებით, ტარდება “რა? სად? როდის?” სასკოლო ლიგა, სადაც ძალიან საინტერესო ბავშვები გამოჩნდნენ. ტრადიციული და წარმომადგენლობითი გახდა მშები ვაშაყიძეების ხსოვნის მემორიალური ტურნირი, რომელიც გიორგი მოსიძემ საერთო ყოველწლიურ კალენდარში შეიტანა. ეს ყველაფერი მისით არ მოსულა და უამრავი



ადამიანის დიდი ხნის მეცადინეობის შედეგია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი ხელისუფლების თანადგომა, პირადად ბატონი ვალერი ფოცხვერიას პატრონაჟი, ადგილობრივი მედიის და განსაკუთრებით პირადად თქვენი მხარდაჭერა. რაც მთავარია, მინდა ის აღამაინებო იცოდეს საზოგადოებამ, რომელთა წლების განმავლობაში თავდაუზოგავმა და უანგარო აქტივობამ მოიტანა ეს პროგრესი. ესენი არიან გუნდის კაპიტანი და სამტრედიის “რა? სად? როდის?” კლუბის პრეზიდენტი გიორგი ჩაჩუა, უკვე ვეტერანი ინტელექტუალი და ამ საქმის დაუღალავი ენთუზიასტი

ლევან ცირეკიძე და თითქმის ყველა იმის ავტორი, ლობისტი, ორგანიზატორი და უძლიერესი ინტელექტუალი, ადამიანი პოზიტივი, ლამაზი ლორია. მადლობა ამ ადამიანებს.”



## მასწავლებლო, მასწავლებლობას გმირობად გითულის ერი

ლიპიან გაბაჩიაშვილი

“თუ ათენელებს ცუდი მეგობრები ეყოლებათ, გზები იქნება უხეირო ათენში, მაგრამ ამით არაფერი დაშავდება, ხოლო თუ ცუდი მასწავლებლები, მოქალაქეები ეყოლებათ ქვეყანას ცუდი და ქვეყანაც დაიღლებათ”. – ასე მსჯელობდნენ ძველი ათენელები. დიას, მასწავლებლებზე ბევრადია დამოკიდებული მომავალი მოქალაქის სწორი მიმართულებით აღზრდა, ჩამოყალიბება.

ძალზე შორს წაგვიყვანოს იმ უკვე დაწვრილებული ადამიანების მხოლოდ გვარ-სახელის ჩამოთვლა, სასახელი ტრადიციებით მდიდარი სამტრედიის მეორე საშუალო სკოლა რომ დაუშთავრებიათ. მრავალად იყვნენ და არიან სკოლაში გამორჩეული, აღიარებული მასწავლებლები.

ქალბატონი, ვისზეც ამჯერად ვსურთ, ამ სკოლაში მამინე მუშაობდა, როცა ღირსეული საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ჩინებული ორგანიზატორი ბატონი გრიგოლ (გრიშა) კობაქიძე გარდაიცვალა. სრულიად ახალგაზრდა მივიდა ქიმიის პედაგოგად სკოლაში ქალბატონი ცისანა ბალანჩივაძე და მოკლე ხანში დაიმსახურა საგნის ღრმად მცოდნე პედაგოგმა მოსწავლეების, კოლეგების განუზომელი სიყვარული და პატივისცემა. საგნობრივი კონფერენციები, საინტერესო გაკვეთილები... თანდათან იზრდებოდა, ხელისუფლებდა ქალბატონი ცისანა, როგორც პედაგოგი. შეუმჩნეველი არ დარჩენია რაიონის განათლების განყოფილების მამინე მუშაძის, ბატონ კარლო მხელაძისა და რაიონის თავკაცებს მარადის ახლის მაძიებელი პედაგოგის გარჯა და იგი განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მეთოდისტად დააწინაურეს. საქმე და მოვალეობა პასუხისმგებლობასთან ერთად გაუთავყვდა, ახლა უკვე საგნის (ქიმიის) პედაგოგების მეთოდური დახმარება, რჩევა-დარიგებები შეადგენდა ქალბატონი ცისანას მოვალეობას.

განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად დააწინაურეს იგი. აქც ჩვეული პასუხისმგებლობა, უბრალოება... ახსოვთ უფროსი და სამუშაო თაობის პედაგოგებს ქალბატონი ცისანა ბალანჩივაძის შემართება, მასთან ურთიერთობის ლამაზი წლები. ახსოვთ მის მოსწავლეებს მათზე მზრუნველი ცისანა მასწავლებელი. მომდევნო წლებში ოჯახთან ერთად დედაქალაქში დამკვიდრდა, თუმცა, ურთიერთობა არ გაუწყვეტია მშობლიურ სამტრედიასთან. დიდ ჯიხაშთან, სადაც მისი მშობლები, მრავალი თაობის აღმზრდელები, ქალბატონი თინა ნუცუბიძე და ბატონი სიმონ ბალანჩივაძე ცხოვრობდნენ, სადაც მისი აკვანი დაიწყო. პროფესიული დღესასწაული იხეიშეს სულ ახლახან ქართველმა პედაგოგებმა, ვულოცავთ ქალბატონ ცისანას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახურ კეთილდღეობას ვუსურვებთ. ეს ფოტო კი, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩვენი გაზიარებული ფოტოგრაფიკონდენტი, ბატონ რომან ბეჭაძის, მიერაა გადაღებული და რომელზედაც ქალბატონი ცისანა აღბეჭდილი ერთ-ერთი გაკვეთილზე, მოსწავლეებთან ერთად, უეჭველია, სიამოვნებას მოგვრის დედაქალაქის ქალბატონს.

## მადლობა ექიმს – ის ედგარ სიმონიანი

“ეს აბავი აუცილებლად მინდა, გაფლერდეს”, – ამბობს ხანშიშესული ქალბატონი, რომელმაც 16 ოქტომბრის გვიან ღამით, როცა უკვე დაძინებას აპირებდა, შემთხვევით ტრავმა მიიღო. საუარძლიდან წამომდგარმა მოულოდნელად წაიბორძიკა და დაცემის შედეგად მარჯვენა ხელი მოიტეხა. ბუნებრივად თავმდაბალი ქალბატონი გეთხოვს, რომ ინიციალებით მოვიხსენიოთ. თუმცა არ შეუძლია, ახალგაზრდა ექიმის მაღალი პროფესიონალიზმი და გულსხმიერება საქვეყნოდ არ გამოიტანოს.



“ჯეო პოსპიტალის” სამტრედიის სამედიცინო ცენტრში ქალბატონი ნ. დ. გვიან ღამით, მარჯვენა ხელის მოტეხილობით მიიყვანეს, სადაც 28 წლის ახალგაზრდა ექიმი ტრავმატოლოგი დახვდა და ყველაფერი ისე გააკეთა, ტრავმირებულ ქალბატონს ტკივილიც შეუმსუბუქა და ხელი თაბამირში ჩაუსვა. “როცა ჯერი თანხის გადახდაზე მიდგა, “როგორ გეკადრებთ, თქვენ პენსიონერი ხართ, ყველაფერი უფასოდ გეკუთვინით”, – მითხრა ღვთისმშობელმა ახალგაზრდა ექიმმა. მამინ ჩემს სახელზე ყავა დალიეთ და შოკოლადი მიირთვიეთ-თქო, მივმართე იქ მყოფ სამედიცინო პერსონალს. ჩემი მხრიდან მადლიერება ასე მინდოდა, გამომეხატა. როგორ გეკადრებთ, ბებო, მაგ ფულთი წამალი შეიძინეთო. ასეთი ექიმები ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ქალაქისათვის და ჩვენი მომავლისათვის იმედის მომცემია, რწმუნაა, რომ ყველაფერი ფულზე არ იყიდება. ჩემზე გაწეული სამსახურისთვის მადლობას ვუხდით “ჯეო პოსპიტალის” სამტრედიის სამედიცინო ცენტრს და ახალგაზრდა ექიმ ტრავმატოლოგს ედგარ სიმონიანს.”

“სამტრედიის მაცნე” დაინტერესდა და შეიტყო, რომ ექიმი, რომლის მადალპროფესიონალიზმისა და გულსხმიერების შესახებ ქალბატონი გვესაუბრა, რა გზით მოვიდა სამტრედიის სამედიცინო ცენტრში. აღმოჩნდა, რომ ეს ახალგაზრდა ედგარ სიმონიანი, რომელიც 1989 წლის 31 ოქტომბერს სამტრედიის დაიბადა, დამთავრა მე-4 საჯარო სკოლა და ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტი. ორდინატურა გაიარა ბელარუსის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში ორთოპედ-ტრავმატოლოგიაში. “ჯეო პოსპიტალის” გუნდის წევრია 2016 წლიდან. სამუშაო გამოცდილება: მინსკის რეგიონალური კლინიკის საავადმყოფო, მინსკის გადაუდებელი სამედიცინო ცენტრი, ქუთაისის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფო, ბათუმის საერთაშორისო პოსპიტალი, კლინიკა “სენამედი”. აქვე დიდი გამოცდილება ორთოპედული და ტრავმატოლოგიური პათოლოგიების მკურნალობაში. და რაც მთავარია, არის ექიმი, რომელიც ადამიანებს განსაცდელის ჭამს მაქსიმალურად უღვას მხარში და უსწევს მაღალ სამედიცინო მომსახურებას.

“სამტრედიის მაცნე” რამდენიმე დღით ადრე დაბადების დღეს, 29 წლის შესრულებას ულოცავს პაციენტთათვის საყვარელ და საიმედო ექიმს, ედგარ სიმონიანს და უსურვებს წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

6067 ნაცვლიძე

# სამომავლოდ საერთაშორისო მასშტაბით

## თმა გაგუნაშვილი

იმ დიდი საქადრავო მოვლენის შედეგად, სულ ცოტა ხნის წინ რომ უმასპინძლო საქართველოში, სამტრედიის ანზორ მაჩიტაძის მემორიალის ჩატარება კიდევ ერთი მოვლენად აღსანიშნავი დასტური გახლდათ იმისა, თუ რა ადგილი უჭირავს და რამდენად უყვართ საქართველოში ინტელექტუალური სპორტის ეს სახეობა. ამ მემორიალის დაარსებით, უკვე მეოთხე წელია უკვე დაფიქსურდა რაიონმა, არა მხოლოდ აქ, ქვეყნის მასშტაბით ცნობილი მოჭადრავის, ანზორ მაჩიტაძის სახელი. ადამიანის, რომლის უპირველესი ღირსება მის საქადრავო მონაცემებთან ერთად კარგი ადამიანობა და კაცურაცობა გახლდათ. ასეთი ახსოვთ იგი მის თანამედროვეებს, მოსწავლეებს და აზვარად ვაყენებენ მომავალ თაობებს მისი აღზრდილები.

მემორიალის დაარსების იდეა, ანზორ მაჩიტაძის ქალიშვილს, მაკა მაჩიტაძეს, ეკუთვნის, რომელიც მამის კვალს გაჰყვა და საკუთარ მოსწავლეებს აზი-

რებს საჭადრავო ხელოვნებას. წარსულში არაერთხელ და ამჯერადაც, იგი მაღლობას უხდის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, სამტრედიის ჭადრავის ფედერაციის პრეზიდენტს, კობა ძიძიუკს, იდგის განხორციელებაში გაწეული მხარდაჭერისთვის. ხაზს უსვამს



მუნიციპალიტეტის მერისა და მერიის თანადგომას. ისევე როგორც გასულ წელს, წელსაც საქართველოს არაერთი მუნიციპალიტეტი იღებდა ტურნირში მონაწილეობას. ამჯერად 21 მუნიციპალიტეტიდან ჩამოვიდნენ სამტრედიის, ანზორ მაჩიტაძის მემორიალზე ძაღვების მოსასინჯად. ჯერ კიდევ გასულ წელს ანონსდებოდა, რომ ცდილობდნენ, სამომავლოდ იგი საერთაშორისო შეჯიბრად ექციათ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერც წელს მოხერხდა, საკითხი დღის წესრიგიდან ამოღებული არ არის, პირიქით, მომავალი წლისთვის ამაზე უფრო ქმედითი ზომების მიღება დაანონსდა, მით უმეტეს, რომ მუშაობა წელსაც უკვე

დაწყებული გახლდათ, ხელი იმან შეუშალათ, რომ საჭირო რაოდენობა ვერ მოგროვდა უცხოელი მონაწილეებისა. წელსაც და წინა წლებშიც ლომის წვლილი შეიტანა მემორიალის ორგანიზებაში მერიის კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზ-



რულ საქმეთა სამსახურმა, ნატალია მანჯგალაძის ხელმძღვანელობით. აგრეთვე, მერის მოადგილე დავით ბახტაძე კურთხეობდა მის ორგანიზებას. საჭადრავო პაექრობა, რომელიც ოთხი დღე გაგრძელდა სამტრედიის, წარმატებით დასრულდა და სხვადასხვა ასაკსა და კატეგორიაში გამარჯვებულებიც გამოავლინა. სამტრედიელთათვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ 16 წლამდე ასაკის ჭადრავთა შორის პირველი ადგილის მფლობელი სამტრედიელი მათე შენგელია გახდა. ბესო ლეჟავა კი მემორიალის ფარგლებში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. ტურნირის მთავარი მსაჯი წელსაც



ალეკო არსენიძე გახლდათ, რომელმაც ხაზი გაუსვა მემორიალის კარგ ორგანიზებას და მის მნიშვნელობას ქართული საჭადრავო ტრადიციების წარმატებით გასაგრძელებლად. მან სამტრედიელი მერი არაბიძის მიღწევებზეც ისაუბრა – სულ ახლახან ბათუმში გამართულ სა-

ერთაშორისო ოლიმპიადზე იგი მესამე ადგილის პრიზიორი გახდა. ტურნირის ბოლოს კი მერი არაბიძე თავად მიესალმა ნორჩ მოჭადრავებს. მომავალი წლის მემორიალზე კვლავ უმასპინძლებს ანზორ მაჩიტაძის მემორიალს, იმედია, უკვე საერთაშორისო მასშტაბით.

## დაცვას მიხედუ ნითუე მოედანზე!

მართალია, “ფეოლა” არსად ჩანდა, მაგრამ ღიმილნარევი “დაცვას მიხედუ, დაცვას”, მაინც ისმოდა ტრიბუნებიდან. ასე სტადიონზე მოთამაშე თანატოლებს ეხმიანებოდნენ საგულშემატკივროდ მისული თანაკლასელები თუ თანასკოლელები.

თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე სტადიონზე, რომელსაც, იქ დაყრდნობით წითელი ქვიშის გამო, “წითელ მოედანსაც” ეძახიან, მინი ფეხბურთში სასკოლო ოლიმპიადის ბოლო რაუნდში მატჩი გაიმართა და შემდეგ გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ. იგი სამი დღე გაგრძელდა და მასში მონაწილეობის სურვილი მუნიციპალიტეტის 11-მა სკოლამ გამოთქვა. ოლიმპიადის მოწყობის ინიციატორი მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურია, მისი ორგანიზება კი კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ უზრუნველყო. ოლიმპიადის გამარჯვებული გუნდი რეგიონალურ სასკოლო ოლიმპიადზე მოსინჯავს ძაღვებს.

ფინალში ერთმანეთს მეორე საჯარო სკოლისა და წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის გუნდები შეხვდნენ. მატჩის შემდეგ გამარჯვებული მეორე საჯარო სკოლის გუნდი გახდა და ერგო კიდევ მას ოლიმპიადის პირველი პრიზი. მეორე ადგილს მართლმადიდებლური, ხოლო მესამეს, მე-11 საჯარო სკოლის გუნდები დაეპატრონნენ. საუკეთესო მეკარედ სერგო ახობაძე, საუკეთესო გოლის ავტორად კი თორნიკე მეფარიშვილი დასახელდა. ისინი ორივე მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მე-11 საჯარო სკოლელმა კარლო აბშილაძემ დაიმსახურა. აქვე ისიც, რომ ოლიმპიადზე პირველი გოლი მე-4 სკოლელმა კონსტანტინე შენგელიამ შეაგდო მოწინააღმდეგე გუნდის კარში.

გამარჯვებულები საგულშემატკივროდ მისულმა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და მისმა მოადგილე დავით ბახტაძემ, აგრეთვე, კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ დააჯილდოვეს.

თმა გაგუნაშვილი



# ჯერ იხსნალოთ თი ია, მერე ყიდვე – შოთას სიბრძნე!

## ნათია ნაცვლიძე

მეოთხე საჯარო სკოლის სტუმრები ვართ. პედაგოგი შორენა თევზაძე ანბანის სამყაროში შეუძღვა თავის პირველკლასელებს. “თი ია – საოცრების დასაწყისი” – ასეთია გაკვეთილის სახელწოდება, მასწავლებელმა ცარცით მონაზა დაფანე თვალსაჩინო პატარებისათვის ჯადოსნური ორი სიტყვა, თი ია – რომელიც მთელ მათ ბავშვურ სამყაროს იტყვის, სამყაროს გაჯერებულს ლექსებითა და “დედანიდან” ამოკითხული ციციქა მოთხრობებით, “ნამისპურანგა ბიჭის ოცნებებითა” და “წიქარული სევდით”... გაკვეთილი შინაარსიანი და საინტერესოა, ენერგიადამოცხრალი პატარები პედაგოგის ყველა შეკითხვას ამომწურავად პასუხობენ, მოსმენის კულტურაც აქვთ და სისხარტესაც იჩენენ ამავედროულად. როგორც პედაგოგმა განუმარტა მათ, ეს დღე მტკიცე და ურყევე კავშირი უნდა იყოს წიგნსა და მათ შორის. თვალსაჩინოების კუთხეც გამოყოფილია იისფრად მორთულ მათ საკლასო ოთახში. აქვე დევს ოთხი წიგნი, რომელთა გარეშეც ქართველი ვერ იქართველებს, მათ შესახებ პატარებმა კარგად იციან: “ქართლის ცხოვრება”, “ბიბლია”, “ვეფხისტყაოსანი” და “დედაენა”. მასწავლებელი ყველა ბავშვს უდიდესი სიყვარულით ესაუბრა ამ წიგნებზე. პარალელი გააკლეს “დედაენის” ძველ, შედარებით შავ-თეთრ გამოცემებსა და ახალ, მათ სასწავლო წიგნს შორის. ბავშვებმა ქართული ანბანის ისტორიაც შეიტყვეს, მეფე ფარნავაზის მიერ შექმნილი დამწერლობის შესახებ გაიგეს. მერე ლექსები თქვეს “დედაენაზე”, იაზე.

იაკობ გოგებაშვილზე, კარგად უწყვიან აკობის ბიოგრაფიაც. ყვეელი ია თავდაც მონატეს ფურცლებზე ციციქა ხელებით, ჯგუფურ სამუშაოსაც წარმატებულად გაართვეს თავი. ანბანის ხეზე, რომელიც ი და ა ხმოვნებით იყო მორთული, სხვადასხვა სტიკერები უნდა დაეკრათ და დაეალება უშეცდომოდ შესარულეს.

რაოდენ არ უნდა გაეკვირდეთ, საკლასო ოთახის კედელი მასწავლებელმა თავადვე მონატა და მასზე ქართული ანბანიც გამოსახა. ამ ასობის წიაღში, ისევე, როგორც დედაენის წიაღში, გაატარებენ ისინი უღამაზეს წლებს დაწყებითი კლასებისას.

გაკვეთილის ბოლოს სკოლის დირექტორმა ნუგზარ კუციამ დადებითად შეაფასა გაკვეთილი და წარმატებები უსურვა პატარებს. “არასოდეს გაგნებოდეთ სწავლისადმი ეს ინტერესი და წიგნის სიყვარული, მტკიცედ ყოფილიყავით მათ სადარაჯოზე”. – მიმართა მან მოსწავლეებს.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ, ირმა ზარნაძემ ასევე გადაუხადა მადლობა პედაგოგს საინტერესო გაკვეთილისათვის, წარმატებები უსურვა მას და მის მოსწავლეებს, ბავშვებს კი წიგნების სიყვარულისაკენ მოუწოდა და მათთან მეგობრობა ურჩია.



# მღვდელმა ნანობაშვილმა რკინიგზის დეპო აკურთხა...

125 წელი გავიდა მას შემდეგ.

1893 წლის 16 ოქტომბერს მღვდელმა ნ. ნანობაშვილმა სამტრედიის დეპო და რკინიგზელთა საცხოვრებელი სახლი “ზდანები” აკურთხა. დეპოს დაარსება კი, სარკინიგზო ქსელის განვითარებამ გახდა აუცილებელი.

ჩვენს სასიქადულო მამულიშვილის, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ბატონ ვაჟა თვალავაძის წიგნში “სამტრედია 1870-1914 წლებში”, სხვა საინტერესო ისტორიულ მასალასთან ერთად, სამტრედიაში რკინიგზის ქსელის განვითარებაც ზედმიწევნითი სიზუსტითაა აღწერილი. ვსარგებლობ პროფესორის თავაზიანი ნებართვით და სამტრედიის დეპოს იუბილესთან დაკავშირებით მკითხველს წიგნიდან შესაბამის ამონარიდს შევთავაზებთ.

მამ ასე, დეპო და “ზდანები” აკურთხეს.

“ამ დღისათვის სპეციალურად თბილისიდან ჩამოიტანეს ეკლესია-ვაგონი, რომელშიც წირვა აღავლინა მღვდელმა ნ. ნანობაშვილმა. გალობდა თბილისის რკინიგზის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა დასი. წირვის შემდეგ საგანგებოდ მორთულ მოედანზე აკურთხეს პეტრე-პავლეს ხატი, რომელიც გამოწერილი იყო მოსკოვიდან და 600 მანეთი დაჯდა, რაც იმ დროისათვის დიდი ფული იყო. სახეიმი ცერემონიალს დაესწრნენ სახელმწიფო რკინიგზების ვიცე-პრეზიდენტი გორჩაკოვი და ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ფრიდე. გაიმართა საუბრე, რომელზედაც წარმოთქვეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და მისი ოჯახისა, ეს სადღეგრძელო გათავდა მუსიკითა და ათასობით შეგროვილი ხალხის დაუსრულებელი “ურას” ვერილით”. – ვკითხულობთ წიგნში (გვ. 39-40).



პროფესორ თვალავაძის ნაშრომში სხვა, ჩვენთვის მეთად საინტერესო ფაქტებიცაა აღწერილი, კერძოდ: “1883 წელს, ბათუმის და ბაქოს ხაზების გახსნის შემდეგ, ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის რკინიგზა. სამტრედია გახდა არა მარტო სარკინიგზო კვანძი, არამედ მან სამხედრო სტრატეგიული დანიშნულებაც შეიძინა. მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ამ დროისათვის 7 სპეციალური სამხედრო პლატფორმა იყო: ორი მცხეთაში, თბილისში, სამტრედიაში, აქსტაფაში, უჯარმასა და ბაქოში”.

ეს რაც შეეხება რკინიგზას, საინტერესოა ერთი ინფორმაციაც, რომელშიც ვკითხულობთ:

“1903 წელს, (115 წლის წინ) სამტრედიის საზოგადოების წარმომადგენელთა კრების დადგენილებით დაბის (სამტრედია მაშინ დაბა იყო) მცხოვრებთ თავიანთი კარმიდამო გასწვრივ თავად უნდა შეეკეთებინათ გზები. ვინც ამ დადგენილებას არ შეასრულებდა, გადაიხდიდა 10 მანეთი ჯარიმას და ვალდებული იყო, გზაც შეეკეთებინა. გაჭირვებულებსა და ქვრივ-ობლებს გზების შეკეთებაში უნდა დახმარებოდნენ მეზობლები”.

“აღდგენა ისტორიისა – ერის გამოცოცხლება, გამხნეებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბრძნისაგან”. – გვმოდერავს ერის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე, ჩვენც ამდენად გავისარჯეთ.

125 წლის იუბილეს ვულოცავთ დეპოს სახელოვან კოლექტივს.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა პროფესორ ბატონ ვაჟა თვალავაძეს საინტერესო ნაშრომისათვის, დროის სვლასთან ერთად მეტ მნიშვნელობას რომ იძენს.

ლევან ბაგრაძე

## კაცი, რომელსაც ვერ იზიფყებან

ვინ იცის, რამდენს დასწყვიტა გული მისმა ნადრემა გარდაცვალებამ. ბევრჯერ გაიხსენეს, გაიხსენებენ მომავალშიც მეგობრობითა და კაცურ-კაცობით განთქმულ სამტრედიელ ინტელიგენტს.

ბატონმა ლევან ჩხეიძემ ბევრისაგან განსხვავებით არ უღალატა მორალურ-ზნობრივ პრინციპებს და მისი ხანმოკლე სიცოცხლით ბრწყინვალე მაგალითი მოგვცა იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო, რომ არ, ვერ დაგვიწყონ, კეთილად, თბილად მოგიგონონ გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგაც.

75 წლისა გახდებოდა ამ დღეებში იგი.



ადგილობრივ გაზეთში არაერთი თბილი მოგონება დაიწერა, მის კაიაცობაზე რომ მეტყველებს თითოეული.

ამ დღეებში, კერძოდ, 13 ოქტომბერს, საზოგადოება “სამტრედიელის” წევრთა ერთი ნაწილი შეიკრიბა, გაიხსენეს ერთად გატარებული შრომითა და ძიებით აღსავსე, მეგობრობით გაცისკრონებული წლები და ჭიქა ღვინით იმიერში ნადრევიად დავანებულს ხსოვნაც შეუთვალეს.

შემდეგ კი დეკანოზმა ანტონმა (ვაშაიძე) ლევან ჩხეიძის სულის საოხად პანაშვიდი გადაიხადა.

კაცი იყო და კაცად დარჩაო, ლევან ჩხეიძისთან მამულიშვილებზე უთქვამთ უთუოდ.

ლევან ბაგრაძე



### სალექციო რუსულიდან სარესტორნო რუსულად

მისი ნახვა სამტრედიის ქუჩებში ადვილია, წლების წინ მას, ოუმორისტული შოუების გმირს დედაქალაქის ქუჩებში ხშირად ნახავდით. მეტსახელი "ციფვი" დათო გოგიშვილს დღემდე შემორჩა. მეტიც, მის დანახვას სწორედ ოუმორისტი ციფვი ახსენდება და არა ბლოგერი, ანდა, ახალგაზრდა ლექტორი, რომელიც საქართველოს და კავკასიის ხალხთა ისტორიას უკითხავდა სტუდენტებს. "სამტრედიის მაცნეში" გვეწყვია და მცირე კომენტარი ვთხოვეთ.



დავით გოგიშვილი: "ტელეკომპანია "ჯიდეისში" ვმუშაობდი. 2016 წლის 12 ივლისს, უკვე შევატყვევებოდა დახურვა, 2017

წლის თებერვალში მაუწყებლობა რომ შეენარჩუნებინათ, გაუშვეს ფილმები და ვიდეოკლიპები, მთელი სტაფი დაითხოვეს. წავედი საქართველოდან რესტორანში მიმტანად, თავიდან მოსკოვში "ხინკალნაიაში" ვიმუშავე, შემდეგ კი გადავედი აწ გარდაცვლილი ცნობილი სამტრედიელი საზოგადო მოღვაწის, მეცენატის, ლენგო გეგეშიძის, რესტორანში "კაბანჩი". ერთი წელია იქ ვარ. 10 საათზე ვალაგებ, ვამზადებ... მოდიან სტუმრები, მაქსიმალურად ვცდილობ, ქართული სტუმართმოყვარეობით და ქართული სულით მოვემსახურო მათ. ჩემი საქმიანობა სწორედ იმითაა მოტივირებული, რომ თითოეული რუსის გულში (და სტუმართა 90 პროცენტი რუსია) ქართველი ხალხის და საქართველოს სიყვარულის პატარა ნერგი დავრგო. ამას ვახერხებ, ენა საკმაოდ კარგად ვიცი, ჩემი პროფესიაც მეხმარება – საქართველოს, რუსეთის და კავკასიის ხალხთა ისტორია! დავამთავრე თსუს ისტორიის ფაკულტეტი ამ სპეციალობით."


დათო გოგიშვილი იყო ბლოგერი, წერდა სტატიებს, ხშირად ჩნდებოდა თიქშოუებში, იწვევდნენ პოლიტიკურ დებატებში. თსუს-ს ქვემო ქართლის ფილიალში საქართველოს და კავკასიის ხალხთა ისტორიას უკითხავდა არაქართველ ჩვენს თანამოქალაქეებს. ხშირად სტუმრობს საქართველოს დედაქალაქს, სადაც როგორც თავად ამბობს, მთელი შეგნებული ცხოვრება გაატარა. ასევე არ ივიწყებს და აკითხავს საყვარელ სამტრედიას და სოფელ ტოლებს, სადაც, მამაპაპური ეზო და სახლი ელოდება.

გვეუბნება, რომ ორი თვის განმავლობაში საქართველოში დარჩება, მეგობრებთან არ მოიწყენს. მერე ისევ რუსეთი ერთი წლით... პოლიტიკური პროცესებიდან დროებით დისტანცირებას ამჯობინებს.

ნათია ნახვავიანი



**მისივე ფრანკფურტის წიგნის ბაზრობიდან: დაიჯერეთ პოეტს გაუცინებლად, ავროკავშირში გაღვივებული აზროვნება.**



#### სოფო სპარას!

ძალიან, ძალიან საყვარელ ციფვას გოგოს, ბედნიერი და ჯანმრთელი რომ მინდა იყოს, საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ მის მკორე დაბადების დღეს! კიდევ ბევრი წელი დაელოცოს ცხოვრების მშვენიერების შეგრძნობის ემოციით. ისახელოს და გვასახელოს მისი კეთილის მსურველები, გულშემატკივრები. საამაყო გოგო გაგზავრდოდეს!

ნათია ნახვავიანი

## ვულოცავთ!

#### ცირა კრავიცივილი!

ცირა მასწავლებელი, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ, კიდევ მრავალი თაობა აღგზარდოთ, თქვენეული პროფესიონალიზმი, ენერჯია და შემართება არ დაგმრტოდეთ! გვიყვარხართ! იღლებრძელეთ!

**მისივე საჯარო სკოლის მეთაურია კლასის მონაწილეები**



**რეგისტრაცია საჩუქრები დასაქმება**  
Faberlic Samtredia Nano  
horoga07@gmail.com  
+995 577 425 552  
+995 593 310 595

**სამტრედიის რუსთაველის ქუჩის №23/2 გაიხსნა კომპანია "ფაბერლიკის" ოფისი. კომპანია ვითარდება, მსოფლიოში ცნობილი ფანგბადის კოსმეტიკას. ასევე, დასაქმებას. ოფისი მუშაობს ყოველდღე 10 საათიდან 17.00 საათამდე. ტელეფონი: 577 42 55 52.**



#### ბატონ ვია გოგორიძე!

ღირსეულ სამტრედიელს, მეგობრისა და მეგობრობის მცოდნეს, ჩინებული ოჯახის თავკაცს პატივისცემით ვულოცავთ სახელოვან იუბილეს. წელთა სიმრავლეს, ოჯახის კეთილდღეობას გისურვებთ, ბატონო ვია. იღლებრძელეთ!

**სახვავიანი "სამტრედიის" ბავშვთა**

**რედაქციის მისამართი: სამტრედიის რედაქცია, რუსთაველის ქ. №6 ტელ: 790 391839**



დირექტორი ბექან გოგია  
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭაჭავაძე  
გამომცემი რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე